ტერაქტი ისრაელში A3

ხარისხების შეღავათიანი მინიჭება მეცნიერება არ არის A4

ფოტოკონკურსი B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 17 ნოემბერი, 2002 წელი. №168

ფასი 50 თეთრი

# ენგურჰესი - ერთადერთი, რაც ქართველებსა და აფხაზებს დღემდე აერთიანებთ



ენერგეტიკის და სახელმწიფო მინისტრები კოდორის ხეობაში.

ზაზა წულაძის ფოტო

ზაზა წულაძე

*ხმამაღალი შეკურთხება ჯერ ქართულად, შემდეგ კი რუსულად, - ეს იყო დავით მირცხულავას პირველი რეაქცია, თბილისისთვის ბუნებრივი აირის შეწყვეტის გამო. სახელმწიფო და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრებს ამ ინფორმაციამ მესტიაში, მხარეთმცოდნეობის მშენებარე მუზეუმის დათვალიერებისას მოუსწრო. ავთანდილ ჯორბენაძემ და დავით მირცხულავამ გუშინ სწორედ ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად მოინახულეს, ჯერ ქვემო და ზემო სვანეთი, შემდეგ კოდორის ხეობა და ბოლოს აფხაზების მიერ კონტროლირებადი სოფელი საბერიო, სადაც საქართველოს ენერგოსისტემის მთავარი არტერიის - ენგურჰესის სამართავი პულტია განთავსებული.*

## სვანეთი

როდის გვექნება შუქი? – ეს იყო გამარჯობის შემდეგ პირველი კითხვა, რომელიც ჯორბენაძესა და მირცხულავას ლენტეხში დაუსვეს. ქვემო სვანეთში, მართალია, ჯერ თოვლი არ მოსულა, მაგრამ ტემპერატურა უკვე მინუს შვიდს უკაკუნებს. ლენტეხის რაიონს სულ ხუთი მეგავატი სჭირდება, თუმცა, "ლაჯანურჰესის" მოდერნიზების გამო, რომელზეც, უკვე თვეზე მეტია, ტენდერში გამარჯვებული ფრანგული კომპანია მუშაობს, ლენტეხის რაიონის სოფლებს ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. **"23 ნოემბრამდე ფრანგები ჰესის რემონტს დაასრულებენ და ლაჯანური, 37-ის ნაცვლად, უკვე 112 მეგავატს მოგვცემს, ამიტომ ნუ გეშინიათ, ცოტა გაუძელით,"** – დაამშვიდა მირცხულავამ ლენტეხელები. კიდევ უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი ჯორბენაძე, რომელმაც ლენტეხელთა მიერ გამოთქმული ყველა პრეტენზია მოთმინებით მოისმინა და ჩაინიშნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველ და რუს მესაზღვრეებს ოპტიმიზმი გაზაფხულამდე გარანტირებული აქვთ

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი კორნელი სალია და მისი რუსი კოლეგა, ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს შტაბის უფროსი, გენერალ ლეიტენანტი ვალერი პუტოვი თბილისში გამართული ორდღიანი მოლაპარაკებების შედეგებით კმაყოფილები არიან.*

**"შეხვედრების დროს განვიხილეთ ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის რეკოგნოსცირებისა და ტექნიკურ-საინჟინრო აღჭურვის, აგრეთვე ოპერატიული ინფორმაციის გაცვლისა და 2003 წელს თანამშრომლობის საკითხები. ყველა მათგანზე მიღწეულია შეთანხმება და მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება",** - აღნიშნავს კორნელი სალია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საკრებულო გაზის გათიშვისთვის პასუხს მთავრობას სთხოვს

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ, დილის 10 საათიდან კომპანია "იტერამ" სააქციო საზოგადოება "თბილგაზს" ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა. გუშინ, გაზის გათიშვასთან დაკავშირებით, თბილისის ახალმა საკრებულომ საგანგებო შეხვედრა გამართა და შექმნილ ვითარებაში ედუარდ შევარდნაძე, სათბობ-ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრები დაადანაშაულა. საკრებულოს თავმჯდომარის ეს აზრი, პრაქტიკულად, მთელმა საკრებულომ გაიზიარა.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიტიკა

### "ნორდ-ოსტის" გამოძიება ჩაიშალა

პრეზიდენტის მომხრე ფრაქციებმა ჩაშალეს "იაბლოკოსა" და "მემარჯვენე ძალთა კავშირის" ინიციატივა, დაწყებულიყო "ნორდ-ოსტის" მოვლენების საპარლამენტო გამოძიება.

A3

## ეკონომიკა

### ჩრდილოეთი კორეა ნავთობს ატომურ ბომბს ამჯობინებს

სამხრეთ კორეის, იაპონიის, ევროკავშირისა და ამერიკის დიპლომატები უკვე შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კორეისაკენ ახლა მიმავალი 42 ათასი ტონა ნავთობი უკანასკნელი იქნება თუკი ფხენიანელი კომუნისტები დასავლეთის მოთხოვნებს არ დაემორჩილებიან.

A3

## უცხოეთი

### მუშარაფის ინაუგურაცია პაკისტანში

16 ნოემბერს პაკისტანში პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი გაიმართა. ფერვეზ მუშარაფი კიდევ ხუთი წელი იქნება ხელისუფლების სათავეში.

A3

## საზოგადოება

### უწიგნური ქართული საზოგადოების პასუხი

შენდება, ინგრევა თუ "საყინულეშია" შენახული საქართველო? რატომ დაეუფლა საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო გულგრილობა და უიმედობა? რატომ ვერ ვითარდება ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების, აზროვნებისა და მეწარმეობის ტრადიციული თუ ახალი მიმართულებები? ვინ არის ავად – საზოგადოება, სახელმწიფო თუ ორივე ერთად? რით ვუწამლოთ ჩვენს ჩამორჩენილობას?
ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გაზეთი "24 საათი" დისკუსიას აგრძელებს.

A4

## სპორტი

### ძიძგილაობა ლიდერთა „დერბიში„

"ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ შეხვედრას უნდა გაერკვია, რამდენად საფუძვლიანი იყო "ლოკომოტივის" და "ვიტ ჯორჯიას" პრეტენზიები ჩემპიონატში გამარჯვებაზე. "ლოკომოტივმა" ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

B1

# დაჯილდოების ცერემონია ჩამქრალი ქართული სცენის ვარსკვლავებისთვის




# უკრაინას ახალი პრემიერი ეყოლება

ამ პოსტზე პრეზიდენტმა კუჩმამ დონეცკის გუბერნატორის ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურა წამოაყენა. ამის შესახებ პრეზიდენტმა 15 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კონსტიტუციის თანახმად, პრემიერის კანდიდატურა უმაღლესმა რადამ უნდა დაამტკიცოს. რაც შეეხება ახლანდელ პრემიერს - ანატოლი კინახს, მას ახლო მომავალში გაათავისუფლებენ.

# მინისტრს თანამშრომელი არ მოეწონა და ხელქვეითის კარიერას წერტილი დაუსვა

თამარ კაციტაძე

**"თვეების მანძილზე კაბინეტიდან კაბინეტში დავდიოდი, მინისტრიდან დაწყებული და კადრების განყოფილების უფროსით დამთავრებული, ყველას ვეხვეწებოდი, აეხსნათ მიზეზი, რისთვისაც სამსახურიდან მათავისუფლებდნენ, მაგრამ ზუსტი პასუხი ვერავინ დამისახელა,"** – აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაცია "კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს გალის განყოფილების ყოფილმა ოპერატიულმა მუშაკმა ირაკლი წურწუმიამ.

"კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელი დირექტორის ლია მუხაშავრიას განცხადებით, რიგითი წურწუმია, რომელიც აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში ორი წლის მანძილზე მუშაობდა, შანტაჟითა და მუქარით აიძულეს, განცხადება დაეწერა და თითქოსდა, საკუთარი სურვილით, სამსახურიდან წასულიყო. მიზეზი გაუგებარი, მაგრამ შეუვალი იყო – ამჟამინდელ მინისტრს არ სურს, აქ მუშაობდე. მალე ამას მოხსნიან, ჩვენ კი ახალ მინისტრს შენს განცხადებას არც ვაჩვენებთ და უკეთეს თანამდებობაზე დაგნიშნავთო, - არწმუნებდნენ

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 18 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 24 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 23 |
| თელავი | 16 |
| ზუგდიდი | 24 |
| გორი | 14 |
| ახმეტა | 17 |
| ჭიათურა | 19 |
| გაგრა | 21 |
| სამტრედია | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.2025 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4690 |
| რუბლი | 0.0688 |

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 საზოგადოება A4 პოლემიკა

B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ უკრაინაში 4 დღიანი ქართულ-უკრაინული სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებები დასრულდა. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრში აცხადებენ, მოლაპარკებების საწარმოებლად უკრაინაში იმყოფებოდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. უკრაინული მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** "საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის განზრახვა კოდორის ხეობაში საველე აეროდრომის მშენებლობის დაწყების შესახებ უცილობლად გამოიწვევს უამისოდაც არსებული დაძაბულობის ესკალაციას", - აღნიშნულია აფხაზეთის თვითგმოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადებაში. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო არაერთხელ აცხადებდა იმის შესახებ, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში სამხედრო კონტინგენტის გაზრდით ოფიციალურმა თბილისმა ეს ხეობა შესაძლოა გამოიყენოს პლაცდარმად აფხაზეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებისათვის.

"ხეობაში საველე აეროდრომის გამოჩენა ამ სცენარით მოვლენების განვითარების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზრდის", - თვლის აფხაზეთის თავდაცვითი უწყება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** აშშ ცდილობს რეალურად დაეხმაროს რუსეთს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორ აშშ-ს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ალექსანდრე ვერშბოუმ ბოსტონში ვიზიტისას განაცხადა, "რამდენიმე თვის განმავლობაში აშშ-მ მიმართა ჩვენ საერთო მეგობრებს საქართველოში, თხოვნით, უკეთ გააკონტროლდეს საზღვრისპირა ტერიტორიები".

მან აღნიშნა, რომ პეტერბურგში დაგეგმილ სამიტზე "დიდი ინტერესით გაეცნობიან" რუსეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებულ გეგმას ჩეჩნეთში სტაბილურობის მიღწევის შესახებ. "როგორც ცნობილია, ჩვენ მკაცრად დავგმეთ მოსკოვის ტერორისტული აქტი, რომელმაც თვალნათლად გვიჩვენა, რომ არანაირი გამართლება არ აქვს მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად აყვანას", - განაცხადა ელჩმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი არ აპირებს განიხილოს თბილისის მერის პოსტიდან ვანო ზოდელავას გადაყენების საკითხი. "მე არ ვაპირებ ამ საკითხის განხილვას", - განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ხელოვნების მუზეუმში ვიზიტისას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** პარასკევს საღამოს, აზერბაიჯანის გაზგადამამუშავებელი ქარხნის გაზსადენის ერთ-ერთ მონაკვეთზე, ბაქოს გარადაგის რაიონში აფეთქება მოხდა, რასაც დიდი ხანძარი მოყვა. ხანძარი მესამე ხარისხის სირთულის აღმოჩნდა.

ცეცხლში გაეხვია რამდენიმე ჰექტარის მონაკვეთი. მეხანძრეები ცდილობენ ხანძრის ლოკალიზებას, რათა იგი ქარხნის ტერიტორიაზე არ გადავიდეს. ქარხნის ორი თანამშრომელი მძიმე დამწვრობით საავადმყოფშია მოთავსებული. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის ეკონომიკურ საკითხებში ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფის წევრები თბილისში 18 ნოემბერს ჩამოვლენ. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, აღნიშნული ჯგუფი ექსპერტების ის ნაწილია, რომელიც მუშაობს საბაჟო სისტემისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების სრულყოფაზე. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის მახლობლად, მდინარე რიონზე გუშინ პირველად მატარებლებმა ერთმანეთს გვერდი აუარეს. ორლიანდაგიანი სარკინიგზო გადასარბენი ხიდი, რომლის მშენებლობა 1999 წლის ოქტომბერში დაიწყო, ექსპლუატაციაში დღეს შევიდა.

200-მეტრიანი ხიდი დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიალს იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი და საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ჩხეიძე დაესწრნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები ქალაქის დატოვებასა და ოფისების თბილისში გადატანას აპირებენ.

ამის შესახებ მათ დღეს ქუთაისის მერთან ნუგზარ ფალიანთან და პოლიციის უფროსთან თემურ ნოზაძესთან შეხვედრაზე განაცხადეს.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს გადაწყვეტილება ბოლო პერიოდში უცხოელების ბინების, ოფისებისა და ავტომანქანების გაძარცვის ფაქტების გახშირების გამო მიიღეს. მათი განცხადებით, ქალაქში გართულებული კრიმინოგენული ვითარების ფონზე უცხოელთა ოფისების მუშაობა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. "აგრობიზნესბანკის" პრივატიზების უკანასკნელი პირობა - ბრიტანელი ბიზნესმენის პიტერ შოუს მძევლობიდან გათავისუფლება უკვე შესრულებულია. როგორც კავკას-პრესს საფრანგეთში საქართველოს ელჩმა გოჩა ჩოგოვაძემ განუცხადა, შოუს გათავისუფლების შემდეგ, ტენდერში გამარჯვებული ფრანგული საფინანსო ჯგუფი "სოფრეკო" მზადაა პრივატიზაციის პროცედურებისათვის. ელჩმა აღნიშნა, რომ ფრანგული ჯგუფის დირექტორმა ოლივიე კუპერმინკმა გამოთქვა "აღფრთოვანება" პიტერ შოუს გათავისუფლებით, რამაც თავის მხრივ გადალახა უკანაკსნელი წინააღმდეგობა, რომელიც სატენდერო პროექტს უკავშირდებოდა. ჩოგოვაძემ აღნიშნა, რომ შოუს გათავისუფლებამ ფართო რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის კონტინენტალურ დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ ბანკირის გათავისუფლება საქართველოს ხელისუფლების დიდი წარმატებაა და უკვე აღდგება ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დროებით შეჩერებული დახმარება. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი**. საერთაშორისო ენერგოდონორები საქართველოს მთავრობისაგან აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვას ითხოვენ.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ინფორმაციით, დავალიანება 87 მლნ. ლარს აღწევს. საქართველოს ენერგოსაბითუმო ბაზრის მონაცემებით კი, 1992-93 წლებში საომარი მოქმედებების დროიდან აფხაზეთს 120 მლნ. ლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ცნობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე თვეში 3,5 მლნ. ლარის ღირებულების ელექტროენერგია შედის.

აღნიშნული მოთხოვნა მსოფლიო ბანკმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD), ამერიკის განვითარებისა (USAID) და გერმანიის რეკონსტრუქციისა და დაკრედიტების (KFW) ბანკებმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს წაუყენეს. საქართველოს ენერგოსექტორის დონორები აფხაზეთის დავალიანების დაფარვას ახლადშემქნილი გაერთიანებული ენერგოკომპანიის მართვაში მათი ჩართვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად აყენებენ. მათი მოთხოვნით, საქართველოს მთავრობამ დავალიანების დაფარვისათვის აუცილებელი თანხა მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს. **"ინტერ-პრესი".**

# ქართველ და რუს მესაზღვრეებს ოპტიმიზმი გაზაფხულამდე გარანტირებული აქვთ

პირველი გვერდიდან

**"ქართულ მხარესთან გამართული შეხვედრების შედეგებს დადებითად ვაფასებ. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ მიღწეული შეთანხმებები პრაქტიკულად განვახორციელოთ"**, - დასძენს ვალერი პუტოვი.

სალიასა და პუტოვის ოპტიმიზმი, შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებული იყოს, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის კონსტანტინ ტოცკის მიერ სულ ახლახანს გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ **"ქართული მხარე არაფერს აკეთებს იმისთვის, რათა შესრულდეს შევარდნაძესა და პუტინს შორის მიღწეული შეთანხმება, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო სამსახურების პირველი პირების მიერ 17 ოქტომბერს ერევანში ხელმოწერილი ოქმის გადაწყვეტილებები"**. დაეჭვების საფუძველს იძლევა ისიც, რომ თავისი შეფის გამონათქვამის განმარტებისა და კომენტარისგან ვალერი პუტოვი თავს იკავებს.

მიუხედავად ამისა, კორნელი სალია დარწმუნებულია, რომ 14-16 ნოემბერს თბილისში სამუშაო ჯგუფების მიერ მიღწეული შეთანხმების შემდეგ საბოლოოდ მოიხსნება რუსული მხარის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ თითქოს, ქართული მხარე ჩეჩენ ბოევიკებს საზღვარზე შეგნებულად ატარებს. **"მე ვფიქრობ, ასეთი განცხადებები მომავალში გამორიცხული იქნება, რადგან სახელმწიფო საზღვრის გასაკონტროლებლად კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება"**, - აღნიშნავს საქართველოს სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსი.



ვალერი პუტოვი და კორნელი სალია.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მხარეთა შეთანხმების თანახმად, დაგეგმილი ღონისძიებების ძირითადი ნაწილი მიმდინარე წელს ჩატარდება. ვალერი პუტოვი განსაკუთრებით გამოყოფს დეკემბრისთვის ნავარაუდევ ერთობლივ სამეთაურო-საშტაბო სწავლებას, რომელიც პირველი იქნება ორი დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნის არსებობის ისტორიაში.

რაც შეეხება საზღვარზე ერთობლივ პატრულირებას, გადაწყდა, რომ მისი ორგანიზება, მაღალმთიან რეგიონში დიდთოვლობის გამო, მომავალი წლის გაზაფხულისთვის გადაიდოს. ამასთან, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ერთობლივი პატრულირების კონკრეტულ ფორმებზე საუბარს სალიამაც და პუტოვმაც თავი აარიდეს და მხოლოდ ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლნენ.

**"რუსი და ქართველი მესაზღვრეების მიერ საზღვრის ერთობლივი დაცვა ყოველთვის ხდებოდა და ბოლო წლებში ის განსაკუთრებით გააქტიურდა. ცდება ის, ვისაც ერთობლივი დაცვა ესმის, როგორც საზღვრის გასწვრივ პარალელური და სინქრონული მსვლელობა. სინამდვილეში, იგი გულისხმობს მესაზღვრეთა მჭიდრო ურთიერთკავშირს და ინფორმაციების გაცვლას, აგრეთვე რთული უბნის გაძლიერებულ ზედამხედველობას"**, - აღნიშნავს ვალერი პუტოვი.

საკმაოდ სერიოზული გეგმების მიუხედავად, ქართველი და რუსი მესაზღვრეები შორს არიან აზრისგან, თითქოს ახლო მომავალში ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი აბსოლუტურად დაცული იქნება და მას ვერც ერთი ჩეჩენი ბოევიკი ველარ გადაკვეთს. **"ასეთ გარანტიას ვერავინ მოგცემთ. თუმცა, ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ ბოევიკებმა დაუბრკოლებლად ვერ იმოძრაონ"**, - აცხადებს კორნელი სალია.

ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებათა სამუშაო ჯგუფების მომდევნო შეხვედრა მომავალი წლის აპრილში გაიმართება და სწორედ მაშინ განისაზღვრება საბოლოოდ, ერთობლივი პატრულირება რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე რა ფორმით განხორციელდება.

# ენგურჰესი - ერთადერთი, რაც ქართველებსა და აფხაზებს დღემდე აერთიანებთ

პირველი გვერდიდან

**"გარწმუნებთ, მომავალ წელს იმაზე უფრო მეტს გაგიკეთებთ, ვიდრე წელს მოვახერხეთ,"** – დაპირდა ლენტეხის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ სვანებს სახელმწიფო მინისტრი.

ლენტეხისგან განსხვავებით, ზემო სვანეთში, მესტიაში უშუქობის პრობლემა არ აწუხებთ. თუმცა, სხვა პრობლემები აქ თავზესაყრელია, პენსიებით დაწყებული და იოდიზირებული მარილით დამთავრებული.

### ომარიშარა

მესტიიდან კოდორის ხეობის უკანასკნელ სოფლამდე, ომარიშარამდე სახელმწიფო მინისტრმა მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი - "კავკასიონი" ვერტმფრენის საშუალებით დაათვალიერა. **"ეს ხაზი, შეიძლება ითქვას, რომ უკვე მწყობრშია და მისი მეშვეობით, აუცილებლობის შემთხვევაში, რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოტანას შევძლებთ,"** – გვითხრა მინისტრის მოადგილემ ენერგეტიკის საკითხებში მამუკა ნიკოლეიშვილმა.

ბოლო წლებში "კავკასიონის" მთავარი პრობლემა ხშირი თავდასხმები და ძარცვა იყო. პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა დაგვიდასტურა, რომ ხშირად ეს ძარცვა შეკვეთილ ხასიათს ატარებდა და თბილისში მათ ინტერესს ემსახურებოდა, ვისაც "კავკასიონით" ელექტროენერგიის შემოტანა არ აწყობდა. **"რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობაც იყო ჩართული, ამის გამო აქ შეტაკებებიც ხდებოდა და ადამიანებიც დაღუპულან. ახლა ამ ხაზის უსაფრთხოებას პირადად ვაკონტროლებ, ომარიშარელებით დაკომპლექტებული 30-კაციანი ჯგუფი მთელი დღის მანძილზე მორიგეობს, ასე რომ, გარანტიას ვიძლევი, ამ ხაზს აღარაფერი ემუქრება,"** – აღნიშნა ემზარ კვიციანმა. ომარიშარა კოდორის ხეობის ბოლო სოფელია, იმის იქეთ უკვე რუსეთის საზღვარია, რომელსაც ასევე ომარიშარელი მესაზღვრეები იცავენ. **"აფხაზები აქ ვერ ამოდიან, თუმცა უღელტეხილები ახლოსაა და მორიგეობა ყოველთვის საჭიროა,"** – გვითხრა ადგილობრივმა მკვიდრმა ლევან ჯაჭვლიანმა.

### საბერიო

გუშინდელი ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა სწორედ გალის რაიონის ამ სოფელში შედგა. საბერიო აფხაზური ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მყოფი ქართული სოფელია, ენგურჰესის სამართავ პულტზე (რომელიც ამ სოფელშია განთავსებული) დასაქმებულ ენერგეტიკოსთა უმრავლესობა სწორედ საბერიოში ცხოვრობს. აქ ყველაზე კარგად ჩანს, რა არის ის ერთადერთი რამ, რაც ქართველებსა და აფხაზებს დღემდე აერთიანებთ. **"ენგურჰესის გამო ქართველებს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვხვდებით,"** – გვითხრა აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრემიერმა ბესლან კუბრავამ. მის გარდა, ქართულ დელეგაციას გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია და რუსულ-აფხაზური კომპანია "ჩერნომორენერგოს" პრეზიდენტი, აფხაზების ყოფილი პრემიერ-მინისტრი სერგეი ბაღაფში დახვდნენ. აფხაზებიც და ქართველებიც შეშფოთებულები არიან იმით, რომ ენგურჰესი, პრაქტიკულად, კატასტროფის წინაშე დგას. **"ყველა აგრეგატი მოძველებული და გასაახლებელია, ბოლო დიდი ავარიაც ამის ბრალი იყო. ერთჯერადი შეკეთება ამას უკვე აღარ შველის, როდის გაფუჭდება, არავინ იცის, შეიძლება ხვალაც გამოირთოს,"** – გვითხრა სერგეი ბაღაფშმა. ენგურჰესს 1200 მეგავატის გამომუშავება შეუძლია და ამ სიტუაციის გამო მხოლოდ 715 მეგავატს გამოიმუშავებს, აქედან აფხაზებს 100 მეგავატი მიაქვთ. ჰესის კაპიტალური რემონტისთვის ევროკომისიამ უკვე გამოჰყო 10 მილიონი დოლარი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა კი 38,5 მილიონი (კრედიტის სახით). ამ პროექტში თავისი წილი ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოსაც აქვს - მომავალი ოთხი წლის მანძილზე 14 მილიონით უნდა დაეხმაროს ენგურჰესს. **"რეკონტრუქციის შემდეგ გამომუშავება 35-40 პროცენტით გაიზრდება,"** – აღნიშნა ჯორბენაძემ.

**"საბერიოში მცხოვრები ჩვენი ენერგეტიკოსები გმირები არიან,"** – ჯორბენაძის ეს სიტყვები ზუსტი დახასიათებაა იმ სიტუაციისა, რომელშიც საბერიოელ ქართველებს უწევთ ყოფნა. მათ აქვთ გარანტია, რომ თავს არ დაესხმებიან, არ გაძარცვავენ, არ მოკლავენ, ისინი აფხაზებს სჭირდებათ. მაგრამ მათ შვილებს არ აძლევენ უფლებას, ისწავლონ ქართული და რუსულის სწავლას აიძულებენ. ამ ათი წლის მანძილზე ისინი მიეჩვივნენ მორჩილებას. **"ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არც ქართველი ვარ, არც რუსი და არც აფხაზი. დავრჩი ასე ენერგეტიკოსად,"** – მწარედ იხუმრა ლევან ს-მ. ამ ხალხს, რომლებიც მორჩილად ემსახურებიან საქართველოს ენერგოსისტემის მთავარ არტერიას, ათი თვის ხელფასები არ აქვთ მიღებული. **"ეს ჩვენი სირცხვილია,"** – აღიარა სახელმწიფო მინისტრმა.

## სამართალი

**თბილისი.** დაღესტანში, ხუნძახის სასაზღვრო-საგუშაგოს ერთ-ერთ მონაკვეთზე საქართველოს სამი მოქალაქის დაკავების ფაქტს ქართველი და რუსი მესაზღვრეები ვერ ადასტურებენ. "მე ინფორმაცია არ მაქვს და არც ის ვიცი, ვინ გაავრცელა აღნიშნული ინფორმაცია," - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ძალების ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონალური სამართველოს შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი პუტოვმა. "საქართველოს მოქალაქეების დაკავების შესახებ საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში არაფერია ცნობილი," - განაცხადა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა კორნელი სალიამ. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს პრეს-სამსახურის უფროსმა სერგეი ლივანცოვმა გუშინწინ განაცხადა, რომ დაღესტანში, ხუნძახის სასაზღვრო საგუშაგოსთან დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქე საზღვრის არალეგალურად გადალახვას და რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას ცდილობდა. მისი თქმით, დაკავებულთა ვინაობა და მათი შესაძლო კავშირი უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან დგინდება. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თელავი.** პანკისის ხეობაში შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები იმყოფებიან. ძალოვნები ბრიტანელი ბიზნესმენის პიტერ შოუს გამტაცებელთა დასაკავებლად ოპერატიულ ღონისძიებებს ჯერჯერობით უშედეგოდ ატარებენ. გუშინწინ კობა ნარჩემაშვილმა და ვალერი ხაბურძანიამ, ძალოვანი უწყებების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, შვეულმფრენით პანკისის ხეობის ის ტერიტორიები დაათვალიერეს, სადაც, სავარაუდოდ, გამტაცებლები მძევალს მალავდნენ. ერთ-ერთ სავარაუდო თავშესაფრად ხეობის სოფლებიდან მოშორებით მდგარი ფერმა სახელდება. ძალოვანების განცხადებით, პიტერ შოუს გატაცებასთან დაკავშირებით 10-მდე პირია ეჭვმიტანილი, თუმცა ჯერჯერობით სამართალდამცველებს არც ერთი მათგანი არ დაუკავებიათ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები ქალაქის დატოვებასა და ოფისების თბილისში გადატანას აპირებენ. ამის შესახებ მათ გუშინ ქუთაისის მერთან ნუგზარ ფალიანთან და პოლიციის უფროსთან თემურ ნოზაძესთან შეხვედრაზე განაცხადეს.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს გადაწყვეტილება ბოლო პერიოდში უცხოელების ბინების, ოფისებისა და ავტომანქანების გაძარცვის ფაქტების გახშირების გამო მიიღეს. მათი განცხადებით, ქალაქში გართულებული კრიმინოგენული ვითარების ფონზე, უცხოელთა მუშაობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. ქუთაისის მერმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ამ გადაწყვეტილების გადავადება სთხოვა, პოლიციის უფროსი კი მათ ყველა ჩადენილი დანაშაულის გახსნას დაჰპირდა. ქუთაისში მოქმედი 11 საერთაშორისო ორგანიზაციიდან ცხრამ ოფისი თბილისში უკვე გადაიტანა. საერთაშორისო ორგანიზაციები იმერეთის დედაქალაქში 1996 წლიდან მოქმედებენ. **"ინტერ-პრესი"**

# მინისტრს თანამშრომელი არ მოეწონა და ხელქვეითის კარიერას წერტილი დაუსვა

პირველი გვერდიდან

თურმე ყოფილ ჩეკისტს მაღალი თანამდებობის პირები. მიუხედავად ამისა, თვეების მანძილზე წურწუმია კაბინეტიდან კაბინეტში დადიოდა და სამინისტროში ყველაზე დაბალი რანგის თანამდებობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა, მაგრამ განცხადების დაწერას მაინც ვერ გადაურჩა. 2000 წლის 30 ნოემბერს მან კადრების განყოფილებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის სახელზე დაწერილი შემდეგი შინაარსის განცხადება ჩააბარა: **"გთხოვთ, სხვა თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან".**

თვეების მანძილზე განმცხადებლისათვის უცნობი იყო, რა ბედი ეწია მის "თხოვნას", ვიდრე 2001 წლის იანვრის ერთ მშვენიერ დღეს იგი სამინისტროს კიბეებზე იმჟამინდელ მინისტრს - ვიტალი მიხელაძეს არ გადაეყარა. **"მინისტრმა ყვირილი დაიწყო, ეს კაცი კიდევ არ გაგიგდიათ ამ შენობიდანო?! ამ დროს მორიგე მომვარდა, საბუთები ჩამომართვა და ამის შემდეგ უშიშროების შენობაშიც აღარ მიშვებდნენ"**, - იხსენებს ირაკლი წურწუმია.

რამდენიმეთვიანი დავის შემდეგ, აგვისტოში, წურწუმიამ სასამართლოს ჩარევის შედეგად გაიგო, რომ იგი ჯერ კიდევ წინა წლის დეკემბერში, მინისტრის ბრძანებით გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან. ოპერმუშაკს განცხადება სხვა თანამდებობაზე გადაყვანის მიზეზით დააწერინეს და, კანონით, გათავისუფლების საფუძველიც ეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ მინისტრის ბრძანებაში წურწუმიას გათავისუფლების მიზეზად ურთიერთშეთანხმება დააფიქსირეს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ, კანონით, თანამშრომელს გათავისუფლების ბრძანება მაშინვე უნდა გააცნონ, წურწუმიასთვის კი მინისტრის გადაწყვეტილება არავის შეუტყობინებია. პირიქით, იგი თვეების მანძილზე სამსახურში ჩვეულებრივად დადიოდა და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებდა.

საკუთარი უფლებების დასაცავად ყოფილმა ჩეკისტმა არასამთავრობო ორგანიზაცია "კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლს" მიმართა, მისმა წარმომადგენლებმა კი სარჩელი სოხუმის რაიონულ და საქალაქო სასამართლოში შეიტანეს და მართლმსაჯულების ძალით სცადეს დაემტკიცებინათ, რომ წურწუმია თანამდებობიდან შანტაჟისა და მუქარის საფუძველზე გაათავისუფლეს. როგორც ლია მუხაშავრია ირწმუნება, ამის მოწმეები წურწუმიას ჰყავდა, მაგრამ სასამართლოზე საკუთარი მინისტრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ვერც ერთმა ჩეკისტმა ვერ შეძლო. ამიტომ დაზარალებულის სიმართლის დამტკიცება ვერ მოხერხდა და მოსამართლემაც სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ამის შემდეგ წურწუმიას დაცვის მხარემ აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოს მიმართა და ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და ყოფილი ოპერმუშაკის გათავსუფლების ბრძანების კანონიერება გაასაჩივრა. ამჯერად წურწუმიას საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მართალია, პირველი სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმეს, მაგრამ ბრძანების კანონიერების გარკვევა კვლავ პირველ ინსტანციას დაავალეს. მუხაშავრიას განცხადებით: **"სოხუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნური ხაბურძანიამ, ჯერ ერთი, კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის ნაცვლად, საქმე რვა თვის შემდეგ განიხილა და მეორეც, სხდომაზე საქმის ობიექტურად განხილვას ვინ ჩიოდა, ხაბურძანიამ წურწუმიას საწინააღმდეგოდ სხდომის ოქმები გააყალბა და უარყოფითი გადაწყვეტილებაც გამოიტანა".**

ამჟამად წურწუმიას დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია იუსტიციის საბჭოში კანონის დამრღვევი მოსამართლის დასჯას, ხოლო უზენაეს სასამართლოში ხაბურძანიას მიერ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრებას ითხოვს.

**"ერთხელ მითხრეს, შენ სხვა გუნდიდან ხარ და ამიტომ უნდა წახვიდეო (იგი უშიშროებაში ხევსურიანის მინისტრობის დროს დაინიშნა). მეორედ მომიგონეს, თითქოს კიბო გაქვს და შენი უშიშროებაში მუშაობა არ შეიძლებაო, სულ თავიდან კი ზუგდიდში, რესტორან "თუთარჩელაში" მომხდარი ინციდენტი მოიმიზეზეს. ჩემს აწ გარდაცვლილ დეიდაშვილს შეკამათება მოუხდა გალის პოლიციის თანამშრომლებთან, რასაც მოწინააღმდეგეთა მხრიდან სროლა მოჰყვა და დავიჭერი. მართალია, საქმის გამოძიება შეწყდა, მაგრამ მე დაზარალებულად ვიყავი ცნობილი და, აქედან გამომდინარე, ეს ფაქტი ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი ვერ გახდებოდა"**, - გვიამბო ირაკლი წურწუმიამ.

ირაკლი წურწუმიას საკითხთან დაკავშირებით მუხაშავრიამ საქართველოს უშიშროების სამინისტროსაც მიმართა, საიდანაც დელიკატური პასუხი მიიღეს: "ველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას".

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ტერაქტი ისრაელში

12 ადამიანი დაიღუპა და 15 დაიჭრა პარასკევს ისრაელის ქალაქ ჰებრონში მომხდარი თავდასხმის შედეგად. ტერორისტებმა ადამიანთა ჯგუფს ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც ისინი "პატრიარქის საფლავთან", ებრაელებისა და მუსულმანების წმინდა ადგილთან გამართული ლოცვის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.

ისრაელის არმიის ცნობით, ტერაქტი კარგად იყო დაგეგმილი. პალესტინელებმა ჯერ ხელყუმბარები ესროლეს ებრაელებს, შემდეგ ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლა მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც ადამიანების გადასარჩენად საქმეში ისრაელის არმია ჩაერია. სროლის შედეგად მოკლულია სამი პალესტინელი.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო "პალესტინის გათავისუფლების ისლამურმა ჯიჰადმა". ტელეკომპანია ალ-ჯაზირასათვის მიცემულ ინტერვიუში ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო შურისძიება ჯიჰადის ერთი-ერთი ლიდერის, იად სავალჰას მკვლელობისათვის.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა დაგმო მომხდარი ტერაქტი და ყველა პალესტინურ დაჯგუფებას მოუწოდა, შეწყვიტოს "უაზრო ძალადობა".

ისრაელის ხელისუფლება საპასუხო ზომების შესახებ დღეს მიიღებს გადაწყვეტილებას. გუშინდელი დღე, შაბათი, ებრაელთათვის უქმე დღე იყო. წინასწარი ვარაუდით, ისრაელი შეწყვეტს პალესტინური ტერიტორიებიდან ჯარების გამოყვანას.

ისრაელის ელჩმა ამერიკაში აიალონმა განაცხადა, რომ მომხდარი საერთაშორისო ტერორიზმის ისეთივე გამოვლინებაა, როგორც კუნძულ ბალიზე, მოსკოვსა და აშშ-ში მომხდარი ტერაქტები.



ისრაელის არმია ტერორისტებთან ბრძოლაში უძლურია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხედულებას, "ერთიანი საერთაშორისო ტერორიზმის" არსებობის შესახებ ბევრი არ იზიარებს. ჩეჩნურ და პალესტინურ წინააღმდეგობის მოძრაობებს თავიანთი სპეციფიკური მიზნები აქვს, რომელსაც ბევრი არაფერი აქვს საერთო ალ-ქაიდას რელიგიური ომის დაწყების გრანდიოზულ გეგმებთან.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პალესტინელების მიერ განხორციელებული ტერაქტები, ისრაელის მოსახლეობაში კონსერვატული განწყობების ზრდას უწყობს ხელს. ხალხი ტერორისტების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების მოთხოვნით გამოდის, რაც საბოლოო ჯამში, იანვარში დაგეგმილ არჩევნებში, ულტრამემარჯვენეების წისქვილზე დაასხამს წყალს.

ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ ერაყში მოსალოდნელი ომის წინ, ამერიკა შეეცდებოდა დაეყოლიებინა ისრაელი, შეერბილებინა პოლიტიკა პალესტინის მიმართ. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში ანტი-ამერიკანიზმის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. თუმცა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, შარონმა მოახერხა თეთრი სახლის დარწმუნება იმაში, რომ სანამ არაფატი პალესტინის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს, რეგიონში მშვიდობა არ დამყარდება. შარონის ადმინისტრაციას, როგორც ჩანს, იმედი აქვს, რომ ამერიკის მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში ძალთა წონასწორობა მნიშვნელოვნად შეიცვლება, რაც კიდევ უფრო გაამყარებს ისრაელის პოზიციას პალესტინელებთან მიმართებაში.

# ჩრდილოეთი კორეა ნავთობს ატომურ ბომბს ამჯობინებს

თორნიკე შარაშენიძე

სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ თავის ჩრდილოელ მოძმეებს კატეგორიულად მოსთხოვა მუშაობის შეჩერება ბირთვული იარაღის პროგრამაზე. სეულმა მსოფლიო კომუნიზმის უკანასკნელ ბასტიონს განუცხადა, რომ თუკი იგი ხელს არ აიღებს პროგრამაზე, მომავალ ზამთარში საწვავის გარეშე დარჩება, რაც, ცხადია, მძიმედ დააწვება ისედაც გაჭირვებული ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობას. სამხრეთ კორეის, იაპონიის, ევროკავშირისა და ამერიკის დიპლომატები უკვე შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კორეისაკენ ახლა მიმავალი 42 ათასი ტონა ნავთობი უკანასკნელი იქნება თუკი ფხენიანელი კომუნისტები დასავლეთის მოთხოვნებს არ დაემორჩილებიან.

ვაშინგტონი უკვე კარგა ხანია ითხოვს ფხენიანის რეჟიმისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტას, რადგან ეს უკანასკნელი არანაირად არ რეაგირებს მის ზეწოლაზე და ნაბიჯს არ დგამს ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ჩრდილო კორეა მართლაც მუშაობს ბირთვულ იარაღზე თუ არა. ჯერჯერობით ამის, მართალია საფუძვლიანი, მაგრამ მაინც მხოლოდ ეჭვი არსებობს. გამორიცხული არ არის, რომ ფხენიანი საგანგებოდ უწყობს ხელს ამ ეჭვის გაღრმავებას, რათა დასავლეთს რაიმე გამოსტყუოს (ქვეყნის პრეზიდენტი შეკითხვებს ბირთვული პროგრამის თაობაზე ორაზროვნად პასუხობს). თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ კორეელ კომუნისტებს არც ისე ცუდად გამოსდით თამაში, რადგან აგერ უკვე 8 წელია მისი წყალობით ნავთობს იღებენ. ეჭვები იმის თაობაზე, რომ ფხენიანი ბირთვულ იარაღზე მუშაობდა, დასავლეთს განსაკუთრებით 90-იანი წლების შუაგულში გაუძლიერდა და, შედეგად, 1994 წელს გადაწყდა ჩრდილოეთ კორეას ყოველწლიურად უსასყიდლოდ მიეწოდოს 500 ათასი ტონა ნავთობი იმ პირობით, რომ იგი შეაჩერებს მუშაობას ბირთვულ პროგრამაზე.

მოყოლებული იქიდან, კომუნიზმის უკანასკნელი ციტადელი მშვენივრად სარგებლობდა დასავლეთის ამ საჩუქრით. მაგრამ დაახლოებით ერთი თვის წინ, ანუ მას შემდეგ, რაც კორეის ერთ-ერთ ხელისუფალს ამერიკელ დიპლომატთან "დასცდა", ჩვენი ქვეყანა ატომურ ბომბზე მუშაობსო, ყველაფერი აირია. ძნელი სათქმელია, ესეც თამაში იყო თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ამან ვაშინგტონის მოთმინების ფიალა აავსო და ამერიკელებმა ფხენიანს შეთანხმების დარღვევაში დასდეს ბრალი. ამერიკამ ნავთობის მიწოდების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა, რასაც სამხრეთი კორეა და იაპონია თავიდან შეეწინააღმდეგნენ. მათი აზრით, ნავთობის არმიწოდება ფხენიანის აგრესიას დასავლეთის მიმართ კიდევ უფრო გააძლიერებდა და ქვეყანა ამ შემთხვევაში ნამდვილად არ შეწყვეტდა მუშაობას ბირთვულ პროგრამაზე.

მაგრამ, მოგვიანებით, იაპონია და სამხრეთ კორეა შეუერთდნენ ვაშინგტონის მოთხოვნას, რადგან ფხენიანის დაყოლიება არაფრით არ მოხერხდა: ჩრდილოეთ კორეას უფასო ნავთობი აღარ აკმაყოფილებს და ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეწყვეტის სანაცვლოდ ამერიკისაგან გარანტიას ითხოვს, რომ იგი მას არასოდეს დაესხმის თავს. ჩანს, ჩრდილო კორეელი კომუნისტები შიშობენ, რომ მათი სახელმწიფო შეიძლება ერაყივით ამერიკული იარაღის სამიზნედ იქცეს. არადა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ-ს ეს რაიმეში სჭირდებოდეს. ვაშინგტონი უფრო ჩრდილო კორეის მშვიდობიან გარდაქმნაზე უნდა ამყარებდეს იმედს, რისი მცირეოდენი იმედიც ბოლო დროს გაჩნდა: ფხენიანმა საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმართული რამდენიმე რეფორმა გაატარა და სამხრეთელ მეზობელთანაც საკმაოდ დაახლოვდა. მაგრამ აქვთ თუ არა კორეელ კომუნისტებს ბირთვული იარაღი? საკითხავი, აი ეს არის.

# მუშარაფის ინაუგურაცია პაკისტანში

16 ნოემბერს პაკისტანში პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი გაიმართა. ფერვეზ მუშარაფი კიდევ ხუთი წელი იქნება ხელისუფლების სათავეში. გუშინვე, ბოლო სამი წლის მანძილზე პარლამენტის პირველი სესია შედგა.

მუშარაფმა 1999 წელს, უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების გზით პრემიერ ნავაზ შარიფის მთავრობის დამხობის შემდეგ, დაითხოვა პარლამენტი და შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება.

პარლამენტი მან სამი წლის შემდეგ აღადგინა, ოღონდ მნიშვნელოვნად შემცირებული უფლებებით. ამიერიდან პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს საკანონმდებლო ორგანო, ხოლო მთავრობის მუშაობას ზედამხედველობას ეროვნული უშიშროების საბჭო გაუწევს. მუშარაფის განცხადებით, ამგვარი ზომები აუცილებელია იმისათვის, რათა პაკისტანში დემოკრატიული მმართველობა რაც შეიძლება სწრაფად და სტაბილურ ვითარებაში აღდგეს.

342 კაციანი პარლამენტი 10 ოქტომბერს აირჩიეს. მისი პირველივე სესია, რომელიც გუშინ გაიმართა საკმაოდ მღელვარე გამოდგა, რადგან პარტიებმა ვერ მოახერხეს შეთანხმების მიღწევა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გახდეს პრემიერ-მინისტრი.

თავად არჩევნები საკმაოდ წინააღმდეგობრივ ვითარებაში წარიმართა, რადგან ორ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას, ყოფილ პრემიერს, ბენაზირ ბჰუტოსა და ნავაზ შარიფს მასში მონაწილეობის მიღება აეკრძალათ.

მუშარაფის მომხრე "პაკისტანის ისლამურმა ლიგამ" მანდატების ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო. მაგრამ მას სამი ადგილი დააკლდა პარლამენტში უმრავლესობის შესაქმნელად. ლიგას თანამშრომლობა მოუწევს 6 ისლამისტური პარტიის გაერთიანებასთან, რომლის წევრების წინასაარჩევნო პლატფორმაში ანტი-ამერიკულ პოზიციას განსაკუთრებული ადგილი ეკავა.

ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა, კონსერვატორმა სასულიერო მოღვაწემ და ტალიბანის ყოფილმა მხარდამჭერმა ფაზალ-ურ-რაჰმანმა, განაცხადა, რომ ალიანსი მხარს ვერ დაუჭერდა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ლიგის მიერ წამოყენებულ ჯამალის კანდიდატურას.

რაჰმანის განცხადებით, ჯამალმა ერთხელ უკვე დაშალა პროვინციული საკანონმდებლო ორგანო, ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან პარლამენტის სამხედროებისაგან დაცვა შეძლოს.

რაჰმანის ალიანსმა პარლამენტში 60 ადგილი მოიპოვა და მისი ხმები მოულოდნელად გადამწყვეტი აღმოჩნდა. მან თავად მოითხოვა პრემიერის პოსტი, რითაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა საფონდო ბაზრებისა და ანტიტერორისტული კოალიციის მომხრეებს.

რაჰმანის თქმით, ალიანსმა ისლამურ ლიგასთან ბევრ საკითხში მიაღწია კონსესუსს, თუმცა გარკვეული უთანხმოებები რჩება. იგი ბრალს სდებს შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს მუშარაფზე ზეწოლაში, მთავრობაში ისლამისტური პარტიების არდაშვების მიზნით.

პარასკევს, სამხედროებისადმი ყველაზე შეურიგებლად განწყობილ ბენაზირ ბჰუტოს "პაკისტანის სახალხო პარტიას" 10 დეპუტატი გამოეყო. სავარაუდოდ ისინი "ისლამურ ლიგას" შეუერთდებიან. სახალხო პარტიამ, რომელსაც 81 ადგილი ჰქონდა პარლამენტში, განაცხადა, რომ განხეთქილების უკან პრეზიდენტი მუშარაფი დგას, რომელიც "ხელოვნური უმრავლესობის" შეკოწიწებას ცდილობს.

# "ნორდ-ოსტის" გამოძიება ჩაიშალა

პრეზიდენტის მომხრე ფრაქციებმა ჩაშალეს "იაბლოკოსა" და "მემარჯვენე ძალთა კავშირის" ინიციატივა, დაწყებულიყო "ნორდ-ოსტის" მოვლენების საპარლამენტო გამოძიება. ექსპერტების შეფასებით, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ნორდ-ოსტის ტრაგედია არ იქნება გამოძიებული, არამედ მსგავსი ტერაქტის განმეორების შემთხვევაშიც, პარლამენტი ხელფხელშეკრული იქნება.

ის, რომ "მორჩილი უმრავლესობა" გამოძიებას დაბლოკავდა, წინასწარ იყო აშკარა, მაგრამ თავად ლიბერალებმაც საკუთარი წინადადებების გასატანად უცნაური ფორმა შეარჩიეს.

მემარჯვენე ძალთა კავშირმა (მძკ) და "იაბლოკომ", საერთო მოთხოვნის წამოყენების ნაცვლად, ორი სხვადასხვა რეზოლუციის პროექტი მოამზადეს, რითაც ოპონენტებს საშუალება მისცეს, იოლად ჩაეგდოთ ორივე მათგანი. ამავე დროს, ეს ორი პარტია ერთმანეთს პრეზიდენტთან გარიგებაშიც ადანაშაულებს. "იაბლოკოს" განცხადებით, მემარჯვენეებმა უარი განაცხადეს მათთან რეზოლუციის პროექტის წინასწარ განხილვაზე. იავლინკსის პარტის თქმით, მძკ-ს მომზადებული ვარიანტი გულისხმობდა, რომ ოპერაცია კარგად იყო ორგანიზებული და ჩატარებული, და რომ 128 ადამიანის სიკვდილში ბრალი სამედიცინო პერსონალს მიუძღვის. მემარჯვენეთა ლიდერი ნემცოვი ამტკიცებს, რომ ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა. საბოლოოდ მძკ-ს ინიციატივამ სულ 38 ხმა მიიღო.

ნემცოვი და კომპანია, თავის მხრივ, იავლინსკის ადანაშაულებენ პრეზიდენტთან შეკვრაში. ცნობილია, რომ ნორდ-ოსტის შტურმის შემდეგ პუტინმა კრემლში მიიწვია იავლინსკი და საჯაროდ მოუხადა მადლობა თეატრის შენობიდან გამოსვლის შემდეგ ენაზე კბილის დაჭერისთვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ "იაბლოკოს" მიერ წარდგენილი ვარიანტი, არა მხოლოდ უშუალოდ ტერაქტის გამოძიებას, არამედ ჩეჩნეთსა და მოსკოვში უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული ვითარების შეფასებას ითვალისწინებდა და ამასთან ერთად, მოითხოვდა დუმაში საპარლამენტო გამოძიების პრაქტიკის დამკვიდრებას. საბოლოოდ, ამ ინიციატივამ 120-ზე ოდნავ მეტი ხმა მიიღო.

ეკონომიკა

# საკრებულო გაზის გათიშვისთვის პასუხს მთავრობას სთხოვს

პირველი გვერდიდან

გუშინ საკრებულოს საგანგებო შეხვედრაზე გაზის გათიშვის მიზეზს ვერავინ ასახელებდა. საკრებულოს დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ ბუნებრივი აირის შეწყვეტა მათთვის მოულოდნელი იყო, თუმცა იქვე რამდენიმე ვერსიამაც გაიჟღერა. თბილისის პრემიერის თქმით, **"შესაძლოა, რუსული მხარე დაეჭვდა, რომ ქართულ მხარეს არა აქვს ვალის გადახდის შესაძლებლობა და გაზის მიწოდება ამიტომ შეზღუდა"**.

ბუნებრივი აირის გათიშვას სხვაგვარად ხსნიდნენ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები. **"პრაქტიკულად, ეს იყო პოლიტიკური აქტი, მიმართული იქითკენ, რომ თბილისში საკრებულოს მიერ გადადგმული ნაბიჯები და მთავრობის გადაყენება გაზის გათიშვასთან დაეკავშირებინათ. მე ვთვლი, რომ პასუხისმგებელი არის უშუალოდ მირცხულავა, ის უნდა მოიხსნას, ეს არანაირ ეჭვს არ იწვევს. შევარდნაძე მზად არის, ხალხი გაყინოს, ოღონდ თავისი პოლიტიკური მიზნები აისრულოს,"** – განაცხადა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. იგივე პოზიცია გაიზიარეს საკრებულოს მდივანმა ზურაბ ჟვანიამ და საკრებულოს წევრმა დავით ბერძენიშვილმა. მათ ბუნებრივი აირის გათიშვა "შევარდნაძის ოჯახისა და "იტერას" შეხმატკბილებულ თამაშად" მონათლეს, რომელიც ახალი საკრებულოს წინააღმდეგაა მიმართული. ბუნებრივი აირის დედაქალაქისთვის გათიშვის ამ ვერსიას არ დაეთანხმა კოდორის ხეობიდან დაბრუნებული სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. **"ეს უბრალო დამთხვევაა. თუ ასეა, მაშინ მეც შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რადგან, თქვენი საკრებულოსი არ იყოს, "თბილგაზის" ჩემს მმართველობაში გადმოცემიდანაც ერთი დღე გავიდა"**, - აღნიშნა მირცხულავამ.

დავით მირცხულავას თქმით, "იტერას" ვიცე-პრეზიდენტ ვალერი ოტჩერცოვთან პარასკევს სატელეფონო საუბრის დროს 18 ნოემბრამდე, ბუნებრივი აირის შეწყვეტის თაობაზე, არანაირი ლაპარაკი არ ყოფილა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ამის შესახებ გუშინ, კოდორში ყოფნის დროს, დილის თერთმეტის ნახევარზე შეიტყო. მირცხულავამ დედაქალაქისთვის ბუნებრივი აირის შეწყვეტის მიზეზად დავალიანება დაასახელა, თუმცა თანხის დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თქმით, საუბარია თავდაცვის და უშიშროების სამინისტროების, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული გაზის საფასურზე, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს. ეს დავალიანება 255 ათასს ლარს შეადგენს. **"იტერას ფული უნდა. როცა დავალიანება არსებობს, მომწოდებელს ყოველთვის აქვს იმის მიზეზი, რომ გაზი გათიშოს"**, - განაცხადა შეხვედრაზე დავით მირცხულავამ.

გაზის გათიშვის ამ ვერსიას არ იზიარებს პრემიერი გია შერაძე და აცხადებს, რომ ქართულ მხარეს "იტერას" არანაირი დავლიანება არ აქვს. **"ჩვენ პირნათელი გადამხდელები ვართ და ჩვენი ვალდებულებაც შევასრულეთ. შეთანხმებისამებრ, 15 ნოემბერს საღამოს რვა საათზე "საქგაზის" ანგარიშზე მილიონ შვიდასი ათასი ლარი გადავრიცხეთ. დარჩენილია 250 ათსი ლარი, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს"**, - განაცხადა საკრებულოს საგანგებო შეხვედრაზე ქალაქის პრემიერმა. თუმცა, აღნიშნული დავალიანების არსებობას არ აღიარებს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი.

"იტერასადმი" დავალიანების ასი პროცენტით დაფარვასა და ვალების არარსებობაზე საუბრობს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავაც. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "თბილგაზს" ოქტომბრის ჩათვლით მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური გადახდილი აქვს. **"გუშინ ქალაქმა უზრუნველყო იმ თანხის გადახდა, რასაც თბილისი ბუნებრივი აირის შეწყვეტისგან უნდა გადაერჩინა, მაგრამ წნევამ დაცემა დაიწყო. ჩვენ რომ ეს გვცოდნოდა, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს მაინც შევუნარჩუნებდით გაზს. ახლა, ფაქტობრივად, 1500-კილომეტრიანი ქსელი მთლიანად დაიცალა. ეს ქალაქისთვის კატასტროფის ტოლფასია. ამასთანავე, ასეთი ხშირი და, მით უმეტეს, გაუფრთხილებელი გამორთვები ქსელს აზიანებს. ასე ხომ აქამდე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებიც წყალში გადაყრილი აღმოჩნდება"**, - განაცხადა ცაავამ.

საკრებულოს წევრის რომან გოცირიძის თქმით, გუშინ მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებელი მთავრობაა, პირველ რიგში კი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი. **"მირცხულავამ სიტყვა არ შეასრულა. მან ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ შეხვედრაზე დეიკალოს პირობა მისცა, რომ 15 ნოემბერს დავალიანება დაიფარებოდა და თბილისს გაზის მიწოდება არ შეუწყდებოდა"**, - აღნიშნა მან. სათბობ-ენერგეტკის მინისტრმა გოცირიძის ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ მას არავისთვის არაფრის გარანტია არ მიუცია. **"მე პასუხისმგებლი ვერ ვიქნები ოქტომბრის ვალებზე, იმიტომ, რომ "თბილგაზი" ჩემს მმართველობაში მხოლოდ პარასკევს გადმოვიდა"**, - აღნიშნა მირცხულავამ.

მიხეილ სააკაშვილმა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, თბილისისათვის ბუნებრივი აირის შეწყვეტასთან დაკავშირებით სიტუაციაში გასარკვევად, 24-საათიანი ვადა მისცა. მირცხულავამ კი განაცხადა, რომ ამ დროში ის ამას ვერ მოახერხებს, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ შაბათ-კვირას რუსეთში და, შესაბამისად, "იტერაში" განკარგულებების გაცემა არ ხდება. საკრებულოს კითხვებზე პასუხის გასაცემად მან ორი დღე მოითხოვა და განაცხადა, რომ დედაქალაქს "იტერას" გაზის მიწოდება ორშაბათს-სამშაბათს აღუდგება. ამისთვის სათბობ-ენერგეტკის მინისტრი შეიძლება მოსკოვშიც გაემგზავროს.

გუშინდელი დღის ოთხი საათიდან ქალაქის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების გაზმომარაგება გაზის საერთაშორისო კორპორაციის კუთვნილი ბუნებრივი აირით ხორციელდება. მირცხულავას თქმით, თბილისის მომარაგება სომხეთისთვის განკუთვნილი გაზის შეზღუდვის ხარჯზე ხდება.



# ხარისხების შეღავათიანი მინიჭება მეცნიერება არ არის

*პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში გაიმართა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის სხდომა. დღის წესრიგში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მუშაობის ანგარიში. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს) მუშაობის ანგარიში გააკეთა ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ხარაძემ. მან აღნიშნა, რომ მეცნიერების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ ატესტაციას.*

დალი კუპრავა

1991 წელს საქართველოში მოქმედება შეწყვიტა უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების ატესტაციის საბჭოურმა სისტემამ, საბჭოური "ვაკიც" ისტორიას ჩაბარდა. 1992 წლის აპრილიდან მოქმედებს საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო და მასთან პარალელურად ამოქმედებული 85 სადისერტაციო საბჭო (დღეს უკვე 94).

დღეს სეს-ის გადასაწყვეტი ამოცანაა, თავად სეს-ის შესახებ და სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ დებულების განახლება და მოწესრიგება. სეს-ის მუშაობა წლების განმავლობაში საორგანიზაციო ხასიათისა იყო და დღესაც, როგორც აკადემიკოსმა ხარაძემ აღნიშნა, მხოლოდ პროცესუალურ ბერკეტებს ფლობს. სეს-ს ევალება ასევე ფორმალური მოთხოვნების დადგენა სადისერტაციო საბჭოებისთვის და არ ევალება დისერტაციის შინაარსობრივი ანალიზი, ხარისხის მიკუთვნების პროცედურაში ის არ ერევა.

შეკითხვას, "ხომ არ აკლია სეს-ს ეფექტიანობის ბერკეტები?" საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ ამაღლობელმა უპასუხა: "სეს-ი, ფაქტობრივად, ახლა ყალიბდება და ყველაფერი გადასახედია".

"დღეს უფრო მეტია ხარისხი და დაცული დისერტაცია, ვიდრე ათწლეულების წინ, - განაცხადა გიორგი ხარაძემ, - მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, მეცნიერებას პროვინციალიზმის საფრთხე ემუქრება". მან აღნიშნა, რომ სადისერტაციო საბჭოები ლიბერალურად უდგებიან საკითხს, ხოლო მეცნიერების ხარისხს არ უნდა განსაზღვრავდეს ისეთი ცნება, როგორიცაა "ეკონომიკური სიდუხჭირე", რომ განწყობა, რაკი ასე გვიჭირს, იქნებ არ მოვითხოვოთ ყველა პარამეტრის მტკიცედ შესრულება, - დამღუპველია. "მოთხოვნა საერთაშორისო სტანდარტის შესაფერი უნდა იყოს", - დაეთანხმნენ დამსწრე პარლამენტარი აკადემიკოსები.

ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრი იყო პედაგოგიკის მეცნიერებაში დაცული უხარისხო დისერტაცია, რომელიც სწორედ პროცესუალური ხარვეზის გამო შეაჩერა სესმა, მაგრამ, ყველა სხვა შემთხვევაში, როცა პროცესუალური ხარვეზი არ არის, სეს-ი უძლურია, ხარისხი აკონტროლოს.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ წამოჭრა სადისერტაციო საბჭოს წევრების სამუშაოს ანაზღაურების საკითხი. მაგალითად, საბჭოზე ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღონ ლექციაზე დაგვიანების მიზეზით. სადისერტაციო საბჭოში მუშაობა ყოველმხრივ პატივდებული უნდა იყოსო, - განაცხადა მან.

უცხოურ ჟურნალებში პუბლიკაციათა გამოქვეყნების აუცილებლობა ხარისხის მისაღებად ძნელად შესასრულებელი პარამეტრი აღმოჩნდა. ჭეშმარიტ მეცნიერებას კი, როგორც დამსწრენი აღნიშნავდნენ, საერთაშორისო ასპარეზი განვითარებისთვის სჭირდება და არა სახელისთვის.

კომიტეტმა გუშინდელი განხილვა დაამთავრა, მაგრამ პრობლემები დროულად მოგვარებას ითხოვს. მართალია, კანდიდატისა და დოქტორის ნათესაობა დღეს დიდად აღარ ფასობს, მაგრამ მაინც, რადგან მეცნიერების ფასი არც მოდაა და არც კეთილდღეობის მოლოდინი.

*პოლემიკა*

# უწიგნური ქართული საზოგადოების პასუხი

**გამოხმაურება მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ბ-ნი გიორგი ჩაგელიშვილის მიერ გაზეთ "24 საათი"-ს NN 135, 136, 138-ში გამოქვეყნებულ სტატიებზე**

*შენდება, ინგრევა თუ "საყინულეშია" შენახული საქართველო? რატომ დაეუფლა საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო გულგრილობა და უიმედობა? რატომ ვერ ვითარდება ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების, აზროვნებისა და მეწარმეობის ტრადიციული თუ ახალი მიმართულებები? ვინ არის ავად – საზოგადოება, სახელმწიფო თუ ორივე ერთად? რით ვუწამლოთ ჩვენს ჩამორჩენილობას?*
*ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გაზეთი "24 საათი" დისკუსიას აგრძელებს.*

თამაზ ბერძენიშვილი

**"ბოროტი სიტყვა კეთილსაც ბოროტად გადააქცევს, ხოლო კეთილი კი ბოროტსაც გარდაქმნის კეთილად".**

*ღირსი მაკარი დიდი*

აღნიშულ სტატიებში: "მოსაზრებები ქართული საზოგადოების ცნობიერების გასაჭირზე", "რით ვუწამლოთ ჩვენს ჩამორჩენილობას?", "სექტანტური აზროვნება -კოლაფსის წინაპირობა", ავტორი აღწერს ქართულ მენტალობას (აზროვნების ტიპს), რომელიც შეუსაბამობაშია კაცობრიობის მოთხოვნებთან. ჩვენი (იგულისხმება ქართველები) ცხოვრების წარმართვისათვის ავტორს აუცილებლად მიაჩნია, რომ უნდა გამოყენებული იქნეს დასავლური აზროვნების ძირითადი თავისებურებები. იქვეა აღნიშნული, რომ ჩვენ, ქართველებს ჩამოგვიყალიბდა ზედაპირულობა, არათანამიმდევრობა, აგრესიული უპასუხისმგებლობა, მოვლენათა არსში წვდომის უნარისა და სურვილის დაკარგვა, წიგნთან მწყრალად ყოფნა და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა - ზნეობის დაცემა (იხ. "24 საათი", №135 "მოსაზრებები ქართული საზოგადოების ცნობიერების გასაჭირზე")

ამ სტატიებში ავტორი გულდასმით აღწერს და გვამცნობს დასავლური საზოგადოების განვითარების პერიოდებს, რენესანსის ეპოქას, იხილავს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, ეხება დასავლური საზოგადოების დამახასიათებელ თავისებურებებს - დაკვირვებას, გააზრებასა და შესწავლას.

გარდა ამისა, ავტორი იხილავს ღია რთულ სისტემებს, მის მსოფლმხედველობასა და არსს. აღწერს ახალ მეცნიერებას – სინერგეტიკას, რომელიც აყალიბებს მოქმედ პრინციპებს საზოგადოებასა და ეკონომიკაში. მოყავს ის ცნებები, რომლებიც გამოიყენება ღია რთული სისტემების დინამიკის შესწავლის დროს და აკეთებს მათ ჩამონათვალს. სტატიაში აღნიშნული ღრმა მეცნიერულად გააზრებული ტერმინებიდან, როგორიცაა: ბიფურკაცია, ფლუქტუაცია და სხვა, განსაკუთრებითაა გამოყოფილი ატრაქტორული მდგომარეობა (ინგლისურიდან ქართულად ნიშნავს - მიზიდვას), ხოლო

ატრაქტორების ტიპებად კი დახასიათებული აქვს უცნაური (strange) და გადაგვარებული (degenerated) ატრაქტორები.

იგლისური ენის ცოდნა სულაც არაა ამ შემთხვევაში აუცილებელი. მხოლოდ ლათინური ასოების წაკითხვაც კი საკმარისია იმისთვის, რომ გავიგოთ თუ რას ნიშნავს გადაგვარებული ატრაქტორი. იგი აღნიშნავს - დეგენერატს. ახლა კი, წავიკითხოთ თუ რას გვამცნობს ავტორი ამასთან დაკავშირებით: **"ჩვენი საზოგადოება (იგულისხმება ქართული საზოგადოება) როგორც რთული სისტემა, სამწუხაროდ იმყოფება გადაგვარებული (დეგენერატული) ატრაქტორის მდგომარეობაში, თანაც საკმაოდ დიდი მიზიდვის არით"** და იქვე: **"ამ მდგომარეობიდან ნორმალურ მდგომარეობაში გადასვლა კი პრობლემურია და დიდი ძალისხმევა სჭირდება".** (იხ. "24 საათი", №136, "რით ვუწამლოთ ჩვენს ჩამორჩენილობას?.)

გარდა იმისა, რომ ქართული საზოგადოება არის დეგენერატული ატრაქტორის მდგომარეობაში, ამასთანავე ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ თურმე ის **ფაქტი, რომ ვართ ავადმყოფი საზოგადოება.** (იხ. "24 საათი", №135)

აი ასეთია ის შესავალი ნაწილი, რითაც შეამკო ავტორმა ქართული საზოგადოება. გამოქვეყნებულ სტატიებში ავტორის მიერ გამოთქმული აზრების მოკლედ გადმოსაცემად წარმოგიდგენთ ჰიპოთეტურ ინტერვიუს ქართულ საზოგადოებასა (ქ. ს.) და ავტორს შორის. იგი იქნებოდა შემდეგი ხასიათის:

(ქ.ს) კითხვა: როგორც თქვენ ბრძანებთ (იხ. "24 საათი",№138) ქართული საზოგადოება, ისევე როგორც ჩეჩნური, მიდის კოლაფსისაკენ ანუ აბსოლუტური ნგრევისა და მოშლისაკენ. ვინ გესახებათ ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოების გადარჩენის მატარებლად?

(გ.ჩ) პასუხი: ჩვენი საზოგადოების გადარჩენის ინსტიქტის მატარებელი არ გამოჩენილა და მით უმეტეს არც კი ჩამოყალიბებულა (იხ."24საათი",№135)

(ქ.ს) კითხვა: ტრადიციულად ხომ ყოველთვის გვყავდა დიდი მწიგნობარიცა და ცოდნის მოყვარე ხალხი? ხალხი, რომელსაც უყვარდა როგორც ფიზიკური, ასევე ინტელექტუალური შრომაცა და დღესაც შრომობს, თუნდაც აუტანელ პირობებში?

(გ.ჩ) პასუხი: ჩვენი დიდი მწიგნობრობითა და ცოდნის სიყვარულით არ გამოვირჩევით. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც შრომის ძირითად სახეობად არა ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური შრომა გახდა, წიგნთან და ცოდნასთან მწყრალად ყოფნა უდავოდ აზროვნების არასრულფასოვნებად უნდა იყოს კვალიფიცირებული (იხ."24საათი", №138)

(ქ.ს) კითხვა: მაგრამ ხომ გვყავდა და გვყავს გამონაკლისი და იშვიათი ნიჭის მქონე ინტელექტუალური ახალგაზრდები, რომლებიც ცოდნის შეძენის სურვილით არიან დამუხტულები და რომლებიც ცდილობენ მოახმარონ თავიანთი ცოდნა საკუთარ თავსაც და სამშობლოსაც?

(გ.ჩ) პასუხი: ჩვენს სინამდვილეში, გამონაკლისი ნიჭის მქონე ახალგაზრდებიც კი ვერაფერს შემატებენ საქართველოს (იხ,"24 საათი", №138)

(ქ.ს) კითხვა: თქვენი აზრით რა უნდა მოიმოქმედოს საღად მოაზროვნე ახალგაზრდების ამ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რათა როგორმე შესძლონ უწინდელი დიდება და სახელი დაუბრუნონ საქართველოს?

(გ.ჩ) პასუხი: ისინი იძულებულნი არიან თავისი ადგილი მონახონ და საცხოვრებლად წავიდნენ საქართველოდან შორს და თანაც დიდი ხნით.(იხ,"24 საათი", №138)

კომენტარი მიმინდია მკითხველისათვის. ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიის სათაურია: "რით ვუწამლოთ ჩვენს ჩამორჩენილობას?" აქვე დავძენ, რომ ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ექიმებისგან, რომლებიც ცდილობენ ამ გზებით უწამლონ ჩვენს ჩამორჩენილობას.

მინდა შევახსენო ავტორს, რომ **სიტყვის ხმარება არაფრით არ განსხვავდება საქმეთაგან - ქმედებისაგან.** როგორც წმინდა მამების მიერაა ნათქვამი (წმ. თეოფანე დაყუდებული, მათეს სახარება 12.37, მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი და სხვა) -

**"სიტყვას გააჩნია არაჩვეულებრივი ძალა. სიტყვით შესაძლებელია ადამიანთა ამაღლება, განწმენდა და გაკეთილშობილება, შესაძლებელია შესძინო მათ რწმენა, სიხარული და სიმხნევე,ააღორძინო მათში სიყვარული და გულმოწყალება, მიჰმადლო სულის სიმშვიდე და სიმყუდროვე; და პირიქით - ავსიტყვაობით შეიძლება მოჰკლა და მოშხამო სული, შეიძლება შეჰყარო მას ყველა სახის ვნება, ცოდვა და მანკიერება, შეიძლება გარყვნა უმანკო, წმინდა გულები, შეიძლება მოშხამო გარშემო მყოფთა არსებობა".**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოება და განსაკუთრებით ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი იყო, არის და იქნება ბრძოლისუნარიანობის შესანიშნავი მაგალითი (გავიხსენოთ თუნდაც ქართულის სახელმწიფო ენად შენარჩუნების უპრეცედენტო მოვლენა, 9 აპრილის ტრაგედია, მთავრობის გადადგომის შარშანდელი შემთხვევა და სხვა).

კაცობრიობის განვითარების ბოლო პერიოდისათვის (იხ. "24 საათი", №153 "კაცობრიობის განვითარება და ტრადიცია - ადამიანი ადამიანისათვის", ჩემი ავტორობით) დამახასიათებელია ადამიანის მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების მკვეთრი ზრდა, ეს პროცესი იმდენად სწრაფად მიმდინარეობს დროში, რომ თვით დასავლეთის საზოგადოებასაც კი უჭირს აღწეროს და შეაფასოს მათი მნიშვნელობები. ისინი სწრაფად ცდილობენ და პრაქტიკულად მიაღწიეს კიდეც, დაივიწყონ, "მოისროლონ" ძველი და თითქმის მთლიანად დაეყრდნონ შემოთავაზებულ ახალს. შედეგად, ადამიანი მთლიანად კარგავს თავის თავისადმი რწმენას, იგი მთლიანად მინდობილია ტექნიკური პროგრესის მიერ შემოთავაზებულ მანქანა-ავტომატზე, კომპიუტერულ ქსელზე და სხვა. მოვიყვანოთ ელემენტარული მაგალითი: რა დაემართება ამერიკელს (ან განვითარებული დასავლეთის სხვა წარმომადგენელს), როდესაც მის სახლში და მითუმეტეს მთელ ახლო მდებარე კვარტალში შეწყდება დენის, ან ბუნებრივი აირის, ან ორივეს ერთად მიწოდება? ვფიქრობ, რომ კომენტარის გაკეთებაც კი ზედმეტია. ავტომატური პნევმოჩაქუჩის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ლურსმნის კედელში ჩასაჭედებლად ამერიკელი დახმარებისთვის ან დახმარების სპეციალურ სამსახურს 911-ს მიმართავს, ან ამ საქმის გაკეთება თითების დაჟეჟილობის ფასად დაუჯდება.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ **ჩვენი საზოგადოება სირთულეების წინაშე გაცილებით უფრო მდგრადია** და უფრო უმტკივნეულოდ გადალახავს წამოჭრილ საყოფაცხოვრებო პრობლემებს, ვიდრე ამას აკეთებს დასავლეთის საზოგადოების წარმომადგენელი.

ქართული საზოგადოება მეტად სწრაფად ცდილობს შეისისხლხორცოს ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა და შეისწავლოს აქამდე უცხო დემოკრატიული წყობის საწყისები (გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამის მისაღწევად დასჭირდა თითქმის 200 წელი), ცდილობს მეტად დინჯად, ფრთხილად და აწონილად **დაიახლოვოს** დასავლეთის როგორც კულტურა, ასევე ტექნიკური პროგრესის მიღწევები. ქართულ საზოგადოებას ამისათვის გააჩნია ყველა საჭირო მონაცემები.

მზის ქვეშ უძველესი დროიდან დამკვიდრებული ჩვენი ერი იყო და დღესაც არის ჩაბმული არსებობისთვის და გადარჩენისათვის გააფთრებულ ბრძოლაში. ქართული საზოგადოება, ეწევა რა უთანასწორო ბრძოლას, როგორც გარე, ისე შიდა მტრებთან, ყველას გასაკვირად ახერხებდა და დღესაც ახერხებს ფერწერის, თეატრალური სპექტაკლების, ლიტერატურული თუ კინოხელოვნებისა და სხვა მსოფლიო დონის შედევრების შექმნას, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ევროპისა თუ მთელი მსოფლიოს განცვიფრებას, ისტორიისა და ტრადიციების არდავიწყებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევითა და უფლის შეწევნით არნახული ტემპებით მიმდინარეობს ეკლესია–მონასტრების მშენებლობისა და აღდგენის პროცესები. იზრდება და ძლიერდება ერიცა და ბერიც.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უნდა დავჯერდეთ მიღწეულ შედეგებს და მომავალში არაფერი გავაკეთოთ. მანკიერი თვისებებისადმი, რომელიც გააჩნია როგორც დასავლეთს, ასევე აღმოსავლეთს, ჩრდილოეთს, სამხრეთსა თუ ჩვენ – უნდა ვიყოთ შეურიგებელნი.

თითოეული ჩვენთაგანი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ტრადიციების ჩამოყალიბებას. ადამიანებში, ცხოველებისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილებების შედეგები გროვდება, თაობებს გადაეცემა და დავიწყებას არ ეძლევა. სწორედ, ეს არის ტრადიცია. ამიტომაც, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვიღებთ, ამით ჩვენი წვლილი შეგვაქვს ადამიანისა თუ ერის ტრადიცების ფორმირებაში. აქედან გამომდინარე, თითოეული ჩვენთაგანი – გადაწყვეტილებაზე, აზროვნებასა და განსაკუთრებით კი **მოქმედება-სიტყვაზე** დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს, რადგან ეს ყველაფერი ჩვენივე ტრადიციების ჩამოყალიბებაში აისახება. **შეცდომების დაშვებით, ანუ ჩვენივე უპასუხისმგებლობით მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, მომავალ თაობასაც ბევრს დავუშავებთ.**

საჭიროა ერთობლივი ძალისხმევით ვეძებოთ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის გზები. **უნდა ვიყოთ ოპტიმისტები და ამ "სენით დავაავადოთ" ჩვენი მომავალი თაობა.** შევძინოთ მათ რწმენა და ავამაღლოთ ისინი, არამც თუ ვუბიძგოთ ხელი სიმხდალისაკენ - გაიქცნენ და დატოვონ ბრძოლის ველი მაშინ, როდესაც ყველაზე ძალიან სჭირდება საქართველოსა და ქართულ საზოგადოებას მათი თანადგომა.




23 ნოემბერს 21.00 საათზე რესტორან
„დავით სარაჯიშვილში"

Image CENTRE
oriflame

„იმიჯ-ცენტრი" და „ორიფლეიმი"
წარმოგიდგენთ
შემოდგომა-ზამთრის
კოლექციის შოუ-ჩვენებას.

დიზაინერები: ფეხსაცმელი—მადონა ხარატიშვილი
ტანსაცმელი—ანა აბულაშვილი

გიორგობის აღსანიშნავად გიწვევენ:

მერაბ სეფაშვილი
ლელა წურწუმია
თემო რცხილაძე
ნუკრი ქაჯაიაძე
ქეთა თოფურია
ჯგუფი „ფორტე"
და ყველაზე პოპულარული
„ბიო"- მალხაზ ქვრივიშვილი.

ტელ: 53-69-11, 877 73-07-09, 899 28-96-53

www.24hours.ge 24 B

ფეხბურთი

# ძიძგილაობა ლიდერთა „დერბიში"

"ვიტ ჯორჯიამ" "ლოკომოტივი" ვერ შეაჩერა


"ლოკომოტივი"-"ვიტ ჯორჯია" ჩხუბის გამო თამაში 5 წუთით შეწყდა.

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-17 ტურში ზედიზედ მესამე თბილისური "დერბი" შედგა. როგორც ვიცით, წინა ორი თბილისის "დინამოს" მონაწილეობით შედგა და მან ორივეჯერ მარცხი განიცადა. მესამეში კი, რომელიც ტურის ცენტრალური შეხვედრაც იყო, სწორედ "დინამოს" დამმარცხებელნი - "ლოკომოტივი" და "ვიტ ჯორჯია" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ვაკეში, "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ ამ შეხვედრას უნდა გაერკვია, რამდენად საფუძვლიანი იყო "ლოკომოტივის" და "ვიტ ჯორჯიას" პრეტენზიები ჩემპიონატში გამარჯვებაზე. "ლოკომოტივმა" ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა. რაც შეეხება "ვიტ ჯორჯიას", 84-ე წუთზე მერაბაშვილის მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილმა ბურთმა ვეტერინარების საჩემპიონო ამბიციებს სერიოზული ბზარი გაუჩინა.

აბდუშაჰილის არ იყოს, ვიტელ ფეხბურთელებს ჯერ მისალმება არ ჰქონდათ დასრულებული, რომ რკინიგზელებმა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანეს. პირველივე წუთზე ბალაშვილის მიერ სტუმართა საჯარიმო მოედანში ჩაწოდებულ ბურთთან ორბელაძე გაჩნდა და ლამაზი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გატანილი გოლის შემდეგ ცაკარიასის შეგირდებმა ინიციატივა დათმეს და დაისაჯნენ კიდეც. "ვიტ ჯორჯიამ" ანგარიშის გათანაბრება ოც წუთში, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით, შეძლო. ახალგაზრდული ნაკრების წევრმა - სალუქვაძემ ადამია ისე მოცელა, რომ შეხვედრის არბიტრს - მალაღურაძეს პენალტის დანიშვნისას არც უყოყმანია. დარტყმის შესრულება მელქაძემ ითავა და ამ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. პირველი ტაიმი ასე დასრულდა. რაც შეეხება შეხვედრის მეორე ნახევარს, ამჯერად ვეტერინარებმა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ მაინც მარცხი განიცადეს, რაშიც საკუთარი თავის გარდა ვერავის დაადანაშაულებენ. იტალიელი კარნევალის გუნდს, სულ მცირე, სამჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ თავდამსხმელები დამაგვირგვინებელ ფაზაში უხეშ შეცდომებს უშვებდნენ. იმუშავა ფეხბურთის დაუწერელმა კანონმა – "ვერ გაიტან, გაგიტანენ" და მორიგი გაცუდებული ასპროცენტიანი საგოლე მომენტის შემდეგ მასპინძლების სწრაფი კონტრიერიში მერაბაშვილის ავტოგოლით დასრულდა. დარჩენილი წუთები მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო – ტექნიკურ კომიტეტს ახალი საქმე მიეცა. ვიტელ კობიაშვილს ნერვებმა უმტყუნა და პერუელ გალიარდოსთან საქმის "ქუჩური გარჩევა" წამოიწყო, რაც მუშტი-კრივით დასრულდა. მეტოქეების დაშოშმინების შემდეგ მალაღურაძემ გალიარდო გააფრთხილა, ხოლო კობიაშვილსა და რკინიგზელ ლაცაბიძეს მოედანი დაატოვებინა. საბოლოოდ, "ლოკომოტივმა" შეინარჩუნა უპირატესობა და, ისევე, როგორც პირველი წრის შეხვედრაში, ამჯერადაც დაამარცხა "ვიტ ჯორჯია".

როგორც იქნა, გონს მოეგო თბილისის "დინამო" და ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ აქტივში მორიგი სამი ქულა ჩაიწერა. შუშაკის გუნდმა აღმავლობის გზაზე დამდგარ და ზეექვსეულში მოხვედრის რეალურ კანდიდატ "სიონს" უმასპინძლა. შეიძლება ითქვას, რომ თემურ მახარაძის გუნდს აშკარად არ გაუმართლა, რადგან, სპორტული თვალსაზრისით, მტკივნეული წაგებებით გაავებულ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატთან, თანაც მისსავე მოედანზე, მოუწია თამაში. ერთადერთი, რითაც ბოლნისელებმა თავი შეიძლება დაიმშვიდონ, ის არის, რომ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს "დინამოს" და საკმაოდ საპატიო ანგარიშით - 0:2 დათმეს მატჩი.41-ე წუთზე კანდელაკმა დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო შეხვედრის მიწურულს, 86-ე წუთზე მიქაძემ "დინამოს" უპირატესობა სოლიდური გახადა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონობის კიდევ ერთმა მაძიებელმა ქუთაისის "ტორპედომ" გასვლით შეხვედრაში დაამარცხა ფოთის "კოლხეთი" (0:2) და სატურნირო ცხრილში პირველი საფეხური შეინარჩუნა. თუმცა კი, შესაძლოა, 19 ნოემბერს ქუთათურებს მეორე ადგილზე მოუწიოთ გადანაცვლება, რადგან ამ დღეს თბილისის "დინამო" პირველი წრის გამოტოვებულ თამაშს გამართავს წინა ტურში მის დამჯაბნავ "ლოკომოტივთან". თუ "დინამო" რევანშის ამ კარგ შანსს გამოიყენებს, ის "ტორპედოს" ორი ქულით გადაასწრებს

დანარჩენი შეხვედრების შედეგები:
"მილანი" – "გორდა" 1:3
"მეტალურგი" – "მერანი" 0:3
"დილა" – "ბათუმი" 0:1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| "ტორპედო" | 17 | 13 | 2 | 2 | 37-11 | 41 |
| "დინამო" | 16 | 13 | 1 | 2 | 39-5 | 40 |
| "ლოკომოტივი" | 16 | 12 | 1 | 3 | 28-7 | 37 |
| "ვიტ ჯორჯია" | 17 | 12 | 1 | 4 | 28-9 | 37 |
| "სიონი" | 17 | 8 | 2 | 7 | 23-22 | 26 |
| "კოლხეთი" | 17 | 7 | 2 | 8 | 19-27 | 23 |
| "მერანი" | 17 | 5 | 3 | 9 | 19-30 | 18 |
| "მეტალურგი" | 17 | 5 | 1 | 11 | 10-35 | 16 |
| "ბათუმი" | 17 | 3 | 5 | 9 | 12-23 | 14 |
| "დილა" | 17 | 3 | 3 | 11 | 9-24 | 12 |
| "გორდა" | 17 | 4 | 0 | 13 | 15-31 | 12 |
| "მილანი" | 17 | 3 | 3 | 11 | 9-30 | 12 |

ჭიდაობა

# „თავისუფალთა" იუბილე

*შეიძლება ითქვას, რომ ჭიდაობა ქართული სპორტის სავიზიტო ბარათია. სპორტის სამყაროში ქართველ ფალავნებს დიდი პატივით რომ მოიხსენიებენ, ამაში უდიდესი წვლილი უფროს თაობას მიუძღვის, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ჭიდაობის მომავალს. მათ შორის გამორჩეულები არიან - ვახტანგ ბალავაძე და გოგი სხირტლაძე. ქართული საჭიდაო სკოლის დღევანდელი წარმატებები მათი შრომისა და თავდადების ნაყოფია.*
*გუშინ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში სახელოვან ფალავნებს საიუბილეო თარიღი მიულოცეს. ბალავაძეს 75 წელი შეუსრულდა, სხირტლაძეს - 70.*



იუბილარები: ვახტანგ ბალავაძე და გოგი სხირტლაძე.

გიგა გურასაშვილი

ჩვეულებრივ, იუბილეს ან იწყობენ, ან უწყობენ. გუშინ ვახტანგ ბალავაძეს და გოგი სხირტლაძეს იუბილე გაუმართეს. ორივე მათგანმა ისეთი ცხოვრება განვლო, რომ ახალი თაობის მოჭიდავეები მათ დიდი პატივისცემითა და რიდით ეპყრობიან. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ამ ორი სპორტსმენის ბევრმა დამფასებელმა და მეგობარმა მოიყარა თავი. ყველაზე დიდი გაოცება კი იქ თბილისის საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარის - მიხეილ სააკაშვილის გამოჩენამ გამოიწვია. როგორც აღმოჩნდა, საკრებულოს თავმჯდომარე ჭიდაობის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. მილოცვებთან ერთად, ბუნებრივია, საჩუქრებიც იყო – სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციათა ხელმძღვანელობისგან. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა სახელოვანი ფალავნები ფულადი პრემიებით დაასაჩუქრა და იქვე, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ახლადარჩეული პრეზიდენტის შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტის სახელით, გოგი სხირტლაძეს ფილას უმაღლესი ჯილდო - "ფილას ორდენი" გადასცა. შეგახსენებთ, რომ ვახტანგ ბალავაძეს ამგვარი ორდენი უკვე მიღებული აქვს. ვეტერანი მოჭიდავეები სათანადოდ დააფასა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც (სეოკი) - სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა განაცხადა, რომ იუბილარებისთვის მზადაა სეოკის უმაღლესი ჯილდოები - "ოლიმპიური ორდენებიც", ოღონდ ტექნიკური მიზეზების გამო ახლა ვერ გადმოგცემთ, პირობას გაძლევთ, ახლო მომავალში ამ ჯილდოებსაც მიიღებთო. სამერმომავლოდაა დაგეგმილი ბალავაძისა და სხირტლაძის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით დაჯილდოებაც. კიდევ ერთი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ - ირაკლი მეძმარიაშვილმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ამ ორი სპორტსმენიდან არცერთს არ აქვს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, ახლა კი ეს ნიუანსიც მოგვარდა. სახელოვან მოჭიდავეებს კიდევ უამრავი საჩუქარი ერგოთ. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისევე როგორც ბალავაძისა და სხირტლაძის მიერ ქართული საჭიდაო სკოლისადმი გაწეული ღვაწლის გახსენება. მათზე საუბარისას ხომ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ ტიტულებს, უბრალოდ ამბობენ - ვახტანგ ბალავაძე და გოგი სხირტლაძე, ესაა და ეს. და მაინც, ვინ არიან, საიდან მოდიან ისინი. არავისთვის არაა დასამალი, რომ ვახტანგ ბალავაძემ საჭიდაო ხალიჩაზე ლამის თავის კბილა გოგი სხირტლაძეზე მეტ წარმატებას მიაღწია. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსადმთავრებულს ვარჯიში 1944 წლიდან დაუწყია. იგი საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონია (1952-55, 57) თავისუფალ ჭიდაობაში. ერთხელ სამბოსთვისაც მოიცალა და ამ სახეობაშიც ჩემპიონი გახდა (1952). მსოფლიო ჩემპიონატებზე კი ორჯერ (1954, 57) ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე; ერთხელ ვიცე ჩემპიონიც გახდა (1959). მაშინ ამ სახის ასპარეზობები სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კი ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, თუმცა უმედლოდ არც მაშინ დარჩენილა და ბრინჯაოთი დაბრუნდა. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ სახელოვან ფალავანს სსრკ ნაკრების გაძღოლა მთელი ათი წლით (1960-70) ჩააბარეს. ქართველ ფალავანთაგან ბალავაძე ერთადერთია, რომელსაც ჭიდაობის პროფესორი უწოდეს.

ტიტულები გოგი სხირტლაძესაც მრავლად აქვს, თუმცა შეიძლებოდა მეტიც ჰქონოდა. თავისუფალ ჭიდაობაში სსრკ-ის ოთხგზის ჩემპიონს (1954, 56, 57, 60), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლისა და მსოფლიო თასის მეორე პრიზიორს (1957), მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანს საერთაშორისო სარბიელზე ჩემპიონობის მოპოვებაში არასდროს უმართლებდა. მან მხოლოდ ერთხელ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული (1959) და ისიც - კარიერის დასასრულს. მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ სხირტლაძემ რომის 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზა და აქაც ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. მაშინ მსაჯების უხეში შეცდომის გამო მას ვერცხლის მედალი არგუნეს. ამიტომ გოგი სხირტლაძეს ქართულ საჭიდაო სკოლაში უიღბლო სპორტსმენის სახელით იცნობენ. ისე კი, თავისუფალი ჭიდაობის გარდა, ქართველმა ფალავანმა სამბოშიც მოსინჯა ძალები და ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც იზეიმა.

სხვათა შორის, დღეს კიდევ ერთი საიუბილეო თარიღი აღინიშნება - ქართული ჭიდაობის დიდოსტატ სიმონ მაისურაძეს რკინიგზელთა კულტურის ცენტრში 75 წლის იუბილეს მიულოცავენ.

ჩოგბურთი

# ჰიუიტი პირველი იქნება

*ჩინეთის ქალაქ შანხაიში დასასრულს უახლოვდება მასტერსის თასის ტურნირი ჩოგბურთში. ეს გახლავთ წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი. მასტერსის თასი საჩოგბურთო წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს და უაღრესად პრესტიჟულ შეჯიბრებად მიიჩნევა. ტურნირის საპრიზო ფონდი 3 700 000 ამერიკული დოლარია. შარშანდელი ტრიუმფატორს, მსოფლიოს პირველ ჩოგანს - ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტს, როგორც ჩანს, პირველობას წელსაც ვერავინ შეეცილება.*
*ჯგუფური ტურნირი უკვე დასრულდა. გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ამ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: როჟე ფედერერი (შვეიცარია) - ლეიტონ ჰიუიტი*
*(ავსტრალია) და კარლოს მოია (ესპანეთი) - ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი).*


ლეიტონ ჰიუიტს ყველა კარტი ხელში აქვს.

კახა ფაჩუაშვილი

ჩემპიონატის ნახევარფინალისტები კი გამოვლინდნენ, მაგრამ მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით კარლოს მოიას გამოჩენას ელოდებოდა. სპორტსმენის, რომლისთვისაც "წითელი ჯგუფის" (ჩოგბურთელები ორ ჯგუფში განაწილდნენ - წითელ და ოქროს ჯგუფებში) მესამე შეხვედრა უკვე აღარაფერს წყვეტდა (მან ნახევარფინალის საგზური ვადამდე გაინაღდა). მაგრამ ესპანელმა მის ოსტატობაში დაეჭვების უფლება არავის მისცა და დაძაბულ ბრძოლაში კეთილსინდისიერად დაამარცხა თანამემამულე ალბერტ კოსტა - 7:6 (9:7), 3:6, 6:4, ამით მან ერთი ხელის მოსმით გააქარწყლა ჭორიკანა საზოგადოების კულუარული მითქმა-მოთქმა, რომ ესპანელებს შორის გარიგება მოხდებოდა და ეს მატჩის საბოლოო შედეგზე აუცილებლად აისახებოდა.

არადა, ესპანელთა დაპირისპირებაში საწინააღმდეგო შედეგი რომ დაფიქსირებულიყო, ტურნირს ვადამდე დაემშვიდობებოდა მსოფლიო საჩოგბურთო კლასიფიკაციის პირველი ნომერი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, მაგრამ კარლოს მოიამ სხვაგვარად განსაჯა და ახლა ფინალის საგზურისთვის ჰიუიტი როჟე ფედერერს დაუპირისპირდება, ხოლო მოია ფერეროს, რომელმაც ჩეხი ირჟი ნოვაკი შინ გაისტუმრა.

ასეა თუ ისე, კარლოს მოია შეიძლება საკუთარი კეთილსინდისიერების მსხვერპლი გახდეს და ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს ლეიტონ ჰიუიტს გადაეყაროს, რომლის გზიდან ჩამოცილებაც ასე ადვილად შეეძლო. ამ ყველაფერში კი მთავარი მაინც ის არის, რომ წლის უმთავრესი ინტრიგა, რომელიც შანხაის შემაჯამებელ ჩემპიონატზე უნდა გამოვლენილიყო, აღარ შედგა. ტურნირის შედეგის მიუხედავად, ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ჩოგანის სტატუსს ვეღარავინ შეეცილება.

მთელი ეს ამბავი კი ანდრე აგასის გამო მოხდა, რომელმაც "ოქროს ჯგუფის" მეორე მატჩი ესპანელ ფერეროს დაუთმო. მხოლოდ ლეგენდარულ ამერიკელს ჰქონდა თეორიული შანსი, გამარჯვების შემთხვევაში, ლიდერობაზე პრეტენზია განეცხადებინა. მაგრამ ამისი თვითონ აგასისაც არ სჯეროდა. "გულახდილად გითხრათ, - ამბობს აგასი, - არ მჯერა, რომ წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო ჩოგბურთელად გახდომის რეალური შანსი მქონოდა... სასწაულიც რომ მომხდარიყო, მაინც არ ვიცი, როგორ უნდა ამეხსნა ეს სიტუაცია".

ფერეროსთან ჭიდილში აგასის სასწაულები არ მოუხდენია. მატჩის საბოლოო შედეგი ამის ნათელი დასტურია. მეორე სეტში, როცა ამერიკელი თითქოს გამოფხიზლდა და ანგარიშიც გაათანაბრა, იგი მაინც გადაღლილი ჩანდა და გადამწყვეტ მომენტებში ახალგაზრდა ესპანელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ამით დამთავრდა ტურნირზე აგასის მოღვაწეობა.

როგორც კი დიდმა მოთამაშემ კორტები დატოვა, ჟურნალისტებთან შესახვედრად ჩემპიონატის დირექტორი ბრედ დრიუეტი გამოვიდა და საზოგადოებას ამცნო, რომ აგასიმ ჩემპიონატში თამაშის გაგრძელებაზე, ტრავმის გამო, უარი განაცხადა. "აგასი შანხაიში ბარძაყის ტრავმით ჩამოვიდა, რომელიც მან პარიზში მიიღო. ფერეროსთან მატჩის დროს ტკივილი გაუძლიერდა. მის ნაცვლად ტურნირს შვედი ტომას იუჰანსონი გააგრძელებს," - განაცხადა დრიუეტმა.

ახლა ჰიუიტს, როგორც იტყვიან, ყველა კოზირი ხელში აქვს. მის პირველობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, შარშანდელი წარმატების განმეორება და მასტერსის თასის ზედიზედ მეორედ მოგება მისთვის წლევანდელი სეზონის საუკეთესო დაგვირგვინება იქნებოდა - სეზონისა, რომელშიც ავსტრალიელმა უიმბლდონზე თავისი პირველი ტრიუმფი იზეიმა და პირველობა ერთხელაც არ დაუკარგავს.

## სინემა

კინოთეატრი "ამირანი"

# ვასაბი

აშშ, 2002 წელი



***რეჟისორი: ჟერარ კრავჩიკი
სცენარის ავტორი და
პროდიუსერი: ლუკ ბესონი
მთავარ როლებში: ჟან რენო,
მიშელ მიულერი, რიოკო ჰიროსიუ***

ამ ფილმში ყველაფერი პაროდირებულია, დაწყებული მამა-შვილური ურთიერთობით და დამთავრებული იაპონური მაფიით. "ვასაბიში" ტრგიკული და კომიკური სიტუაციები ელვის სისწრაფით ცვლის ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ფილმის შემქმნელები სხვადასხვა ტრიუკების ხარჯზე არ ცდილობენ ემოციების გამოწვევას. ფილმის პერსონაჟები თითქოს ჩვეულებრივად იქცევიან, მაგრამ მათთვის ბუნებრივი ქმედება მაყურებელში თავშეუკავებელ სიცილს იწვევს. ეს უპირველეს ყოვლისა ლუკ ბესონის დამსახურებაა. ერთი ფაქტია საყურადღებო. მის თითქმის ყველა ფილმში პოლიციელი ან სულელია, ან კიდევ ბოროტების განსახიერება ("ტაქსისტი", "ლეონი", "მეხუთე ელემენტი").

მართალია, მთავარი გმირი იუბერი (ჟან რენო) პოლიციის კომისარია, მაგრამ ადრე ჯაშუში იყო და მხოლოდ "პენსიაზე" გასვლის შემდეგ დაიწყო წესრიგის დამცველად მუშაობა. სხვათა შორის, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ "ვასაბის" ყველაზე სუსტი წერტილი, სუპერვარსკვლავის, ჟან რენოს თამაშია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს იგი მთლიანად კომედიურ ფილმებში იღებს მონაწილეობას, ის სამწუხაროდ, ვერა და ვერ გამოვიდა გახმაურებული კინო-გმირის, მკვლელი ლეონის ამპლუადან. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჟან რენო ლუკ ბესონის საყვარელი მსახიობია და რეჟისორი მას თითქმის ყველა თავის ფილმში იწვევს.

"ვასაბიში" განსაკუთრებითაა ხაზგასმული იაპონიის ტექნიკური მიღწევები. ქართველი მაყურებელი ალბათ სიამოვნებას მიიღებს იმის ნახვით, რომ ჩვენ კი არა, ვითომ მაღალგანვითარებული ქვეყნის შვილები - ფრანგებიც კი ბრინჯივით იბნევიან და ვერაფერი გაუგიათ აზიელთა სუპერტექნიკაში.

ერთი-ორი სიტყვა ვასაბზეც ვთქვათ. ასე ჰქვია იაპონურ ეროვნულ კერძს, რომელსაც იმდენად მწარე გემო აქვს, რომ მხოლოდ ნამდვილ მამაკაცებს შეუძლიათ მისი ჭამა. ამიტომაც, სულ არ არის გასაკვირი, რომ ჟან რენოს გმირი-კომისარი იუბერი ვასაბის ჭეშმარიტი მოყვარული გახდება და დიდი სიამოვნებითაც შეექცევა მას.

***არჩილ მელიქიშვილი***

## კალენდარი

# 17 ნოემბერი



REUTERS

თუ იტალიურ ტრადიციებს დაიცავენ, მარტინ სკორსეზეს ოჯახში დღეს დიდი ზეიმი მოეწყობა – წარმატებულ ჰოლივუდელს სამოცი წელი უსრულდება. თავისი თაობის ყველაზე განსხვავებული სტილის მქონე რეჟისორი, კინოს ღმერთი, საინტერესო მთხრობელი, გადმოცემის საოცარი ნიჭით დაჯილდოებული – სკორსეზეს ამ და სხვა ეპითეტებით დღემდე აჯილდოვებენ. ის უამრავ პრესტიჟულ პრიზს ფლობს. სულ ახლახან, სექტემბერში, მარაქეშის საერთაშორისო კინო-ფესტივალზე მაროკოს უმაღლესი ჯილდო მას თავად მეფე მუჰამედ მეექვსემ გადასცა. ის ჰოლივუდის ბულვარზე, ტროტუარშიც უკვდავყვეს და სიუზენ სარანდონთან ერთად, მისი ვარსკვლავი ჩადგეს.

სკორსეზე გაზეთის ფურცლებიდან არ ჩამოდის იმიტომაც, რომ ის დღემდე აქტიურად მუშაობს და ახალ ფილმებს ქმნის. მისი ბოლო ნამუშევარი, "ნიუ იორკის ბანდები" (ლეონარდო დიკაპრიოსა და კამერონ დიასის მონაწილეობით) დიდ ეკრანზე დეკემბერში გამოვა. ფილმი ლოგიკურად კრავს სკორსეზეს ფილმოგრაფიის ჯაჭვს და მაყურებელს მის საყვარელ თემასთან – ნიუ-იორკთან და პირველ ფილმ Mean Streets-თან აბრუნებს. სკორსეზე ხომ, ვუდი ალენთან ერთად, ის რეჟისორია, ვინც საყვარელ ქალაქს ცნობილი ფილმების მთელი სერიები მიუძღვნა.

"ტაქსის მძღოლი", "მრისხანე ხარი", "ფულის ფერი", "ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება", "კარგი ბიჭები", "სიწმინდის ხანა" – სკორსეზეს საქვეყნოდ ცნობილ ფილმებზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ერთი კი ფაქტია, დღეს იუბილარ რეჟისორს დაბადების დღეს, პირველ რიგში, მისი საყვარელი მსახიობი რობერტ დე ნირო მიულოცავს. მათ ერთად დაახლოებით რვა, სხვადასხვა პრიზით დაჯილდოებული ფილმი აქვთ შექმნილი.

... ახალგაზრდობაში კი სკორსეზე ერთი ასთმიანი, სუსტი ბიჭი იყო, რომელიც დღე და ღამ კინო-თეატრში იჯდა და სურდა, მღვდელი გამოსულიყო. თუმცა, სასულიერო სემინარიიდან მალე გამოვიდა და სწავლა ნიუ იორკის კინო-სკოლაში განაგრძო...

**მარტინ სკორსეზე** "ამერიკულ იტალიაში" – ნიუ იორკის გარეუბან ქუინსში 1942 წლის 17 ნოემბერს დაიბადა.

# პრეზიდენტი და მხატვარი

## ვერნერ რუდიგერი საქართველოს საპატიო მოქალაქეა

*მართალია, საქართველოს პრეზიდენტს ახლა გვიანი შემოდგომა უდგას და მკაცრი ზამთრის მოლოდინში ათასი საზრუნავი აწუხებს, მაგრამ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაინც გამონახა დრო და ცნობილი გერმანელი მხატვარი, 62 წლის ვერნერ რუდიგერი მიიღო, სწორადაც მოიქცა, რადგან ახლა ზამთრისპირას დარჩენილი ქვეყანა ერთი იმედითღა არის, მარტო ხელოვნება თუ გადაარჩენს საქართველოს (პერიფრაზა ცნობილი ლექსისა: "თუკი ვცოცხლობთ ხელოვნების იმედით, იანვარშიც კი არ გავიყინებით"). ვინმე ოზივატელი იტყვის, რა დროს ხელოვნებააო და მაგალითს "ბაში-აჩუკიდან" მოიტანს: "მეფე რომ პიიპუუ-პიიპუს" დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო "ვაი-ვაის" იმღერებსო..."*

თამარ სუხიშვილი

მიუნხენელი ხელოვანი **ვერნერ რუდიგერი** საქართველოს პირველად 1971 წელს ეწვია. ბატონი რუდიგერი იმთავითვე დაინტერესდა ჩვენი ქვეყნის ისტორიითა და კულტურით, განსაკუთრებით კი – ქართული ხუროთმოძღვრებით. მისი ინტერესი ქართული კულტურის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მხატვარმა ქართული ენის შესწავლაც კი გადაწყვიტა. მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სწავლობდა ქართულ ენას და თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ტილოზე გადმოჰქონდა, ხატავდა ბევრს, ძირითადად – ეკლესია-მონასტრებს. "ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში ჩემი იდეალი ვიპოვე. ქართულ ტაძრებს აქვთ საოცრად დახვეწილი პროპორციები და იდეალური არქიტექტურული ფორმა," – ამბობს გერმანელი მხატვარი, რომელიც აღფრთოვანებულია ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრული ძეგლების თვითმყოფადობით, ეკლესია-მონასტრებისა და ლანდშაფტის საოცარი შეხამებით, საეკლესიო საგალობლებით.



ზაურ ბულაშვილის ფოტო

*საზეიმო ცერემონიალზე*

პირველი ექსპედიცია ბატონმა რუდიგერმა 1980 წელს მოაწყო ტაოკლარჯეთსა და სამცხეში. გერმანელ მხატვარს უკვე 150-ზე მეტი ძეგლი აქვს დახატული, თანაც ფოტოგრაფული სიზუსტით. ამ ნამუშევრებში იგრძნობა ადამიანისა და ბუნების ქმნილებათა სინთეზი, დაცულია ხუროთმოძღვრული ძეგლების პროპორციები, მიკროსკოპული დეტალებიც კი დაფიქსირებულია. რუდიგერის სურათები ხელოვნებათმცოდნეებისთვის ორმხრივად საინტერესოა: როგორც მხატვრის შემოქმედების გაცნობის, ისე ქართული კულტურის ძეგლების შესწავლა-პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

ორი წლის წინ ვერნერ რუდიგერს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭეს. წელს, სექტემბერში სამხატვრო აკადემიის დარბაზში რუდიგერის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, სადაც 31 ქართული ძეგლის სურათი იყო წარმოდგენილი.

გუშინ, 16 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარ უცხოელ სტუმარს საქართველოს საპატიო მოქალაქის ატრიბუტიკა გადასცა (განკარგულებას ვერნერ რუდიგერისათვის საპატიო მოქალაქის მინიჭების შესახებ პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მოაწერა ხელი). საზეიმო ცერემონიალს მხატვართან ერთად სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი იოსებ ქოიავა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში მილკო შილბახი და სახელმწიფო კანცელარიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის რეფერენტი ნუგზარ ტულუშიც ესწრებოდნენ.

"ის, რაც თქვენ საქართველოსთვის გააკეთეთ, გმირობის ტოლფასია, – ამ სიტყვებით მიესალმა ბატონი ედუარდ შევარდნაძე სტუმარს, - მე კარგად ვიცნობ თქვენს საქმიანობას და ძალიან მადლიერი ვარ თქვენი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართული კულტურის ძეგლებს მიაქციეთ ყურადღება."

საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება ვერნერ რუდიგერს საქართველოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის: ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის, არქიტექტურული ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და მათი ამსახველი ფერწერული ტილოების შექმნისათვის გადაეცა.

"თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, - გერმანული აქცენტით ქართულად დაიწყო ბატონმა რუდიგერმა, - ეს დღე ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება და მუდამ მადლობელი ვიქნები თქვენი, გისურვებთ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში." გერმანელმა მხატვარმა პრეზიდენტს საჩუქრად თავის ნამუშევარი - "იშხანი" გადასცა.

ცერემონიალის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ხელოვნების მუზეუმს ეწვია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის გამოფენა დაათვალიერა.

**P.S. ეს უცხოელები (განსაკუთრებით, ხელოვანი ხალხი) არაპროგნოზირებადნი არიან, რას გაიგებ, როგორ დახატავენ მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი პატრიარქის შემოდგომას.**

# „არტ-იმედის" ტრიუმფი

## დაჯილდოების ცერემონია ჩამქრალი ქართული სცენის ვარსკვლავებისთვის

თუკი ბარსელონაში ევროპელი ახალგაზრდობის მუსიკალური ფავორიტები გამოავლინეს, პარასკევს მშობლიური სპორტის სასახლის კედლებში ქართულმა სტუდენტობამ დაასახელა რჩეულები. ამ ორ ცერემონიას შორის რომ განსხვავება მეტია, ვიდრე საერთო, შედეგებიდანაც ჩანს - MTV-europe awards ემინემის, სპორტის სასახლის დაჯილდოების ცერემონია კი "არტ-იმედის" ვარსკვლავების ტრიუმფით დასრულდა...

ვერა ნეფარიძე

ევროპამდე შორია, მაგრამ რა ვუყოთ საკუთარ ამბიციებს: ვარსკვლავად ყოფნისა და ვარსკვლავების ყოლის დაუოკებელ სურვილს - "გრანდიომანიას" - საკუთარს ყველაფერს გრანდიოზული დავარქვათ და მოვატყუოთ ყველა - საკუთარი თავიც. კარგია, რომ მსგავსი კონცერტები სპორტის სასახლისა და ფილარმონიის დარბაზებს ველარ ავსებს. მართალია, ეს დეტალი მათი ორგანიზატორების შემართებაზე დიდად არ მოქმედებს, მაგრამ არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც ნახევრადცარიელ დარბაზებში "გრანდიოზული" "ტუსოვკების" მოწყობას ველარ შეძლებენ; ალბათ, მსმენელსაც მალე მობეზრდება, ხუთ ლარად დარბაზში "მინი-დისკებით" მოტანილ ფონოგრამას უსმინოს. ოღონდ, ვიდრე ეს ნანატრი და ჩვეულებრივი დღე დადგებოდეს, ისინი, ალბათ, კიდევ მრავალჯერ მოასწრებენ ისეთი დაჯილდოვებების გამართვას, როგორიც გუშინწინდელი იყო.

ორგანიზატორთა, დამჯილდოვებელთა და დაჯილდოებულთა (თანმხლებ არმიასთან ერთად) საერთო რაოდენობას ბევრად არ აჭარბებდა კონცერტის თინეიჯერული აუდიტორია. დაჯილდოების ცერემონიას კი მსგავსი ღონისძიებებისგან ნომინაციების სიჭარბე გამოარჩევდა. ბოლოს მივხვდი, რისთვის იყო საჭირო ნომინაციების ასეთი სიმრავლე – სხვაგვარად ქართული ესტრადის ყველა ვარსკვლავს ხომ ვერანაირად დააჯილდოვებდნენ. ისედაც, "ძირითადი" ნომინაციები ვარსკვლავთა მრავალრიცხოვან არმიას მაინც არ ეყო და სხვადასხვა დანამატების საჭიროება გაჩნდა - მაგალითად, ჟურნალ "სტუდენტური პაემანის" (ღონისძიების ორგანიზატორი) მეგობრობის პრიზები, რომლებიც გადაეცათ: თემურ თათარაშვილს, თიკა ხეცურიანს, თათია გიორგობიანსა და ჯგუფს "ისინი". აუდიტორიისათვის გაურკვეველი დარჩა, რას გულისხმობდა "სპეც-პრიზი", რომელიც სტეფანესთვის გაიმეტეს და რომლის ასაღებად, როგორც ვიცით, იგი კონცერტზე შეგნებულად არ მოვიდა. ცხადია, ამით მუსიკოსს ნამდვილად არაფერი დაუკარგავს, დარბაზში გამეფებულ აუტანელ ყოფას კი მისი გამოსვლა, ჩემი აზრით, ცოტას მაინც შეამსუბუქებდა. ცერემონიას არ დასწრებიან არც "წლის სოლო-კონცერტის" ნომინაციაში გამარჯვებული დათო ხუჯაძე და არც უცნაური ( "ყველასათვის საყვარელი") ნომინაციის პრიზიორი - "უცნობი". რამდენადაც ვიცით, ხუჯაძე მოსკოვშია, "უცნობის" მოუსვლელობის მიზეზზე კი ვერაფერს გეტყვით...



*წლის აღმოჩენა - ბუკა მანაგაძე*



*"ქუჩის ბიჭები"*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მერაბ სეფაშვილი*

უცნაურია, დაჯილდოების ცერემონიალზე მხოლოდ გამარჯვებულებს წარადგენდნენ და სხვა ნომინანტებს არ გვაცნობდნენ. ( საერთოდ იქ იყვნენ თუ არა ისინი, გაურკვეველია). როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ეს გამარჯვებულები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში დარიგებული ბლანკებით გამოავლინეს. უცნაურია, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ სამივე გრან-პრი "არტ-იმედის" ვარსკვლავებს: თემურ თათარაშვილს, მერაბ სეფაშვილსა და ლელა წურწუმიას არგუნა. მთლიანად ღონისძიება ამ კომპანიის მიერ ორგანიზებულის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა...

ორგანიზატორებს არ გამორჩენიათ მსგავსი ღონისძიებისთვის დამახასიათებელი საპატიო სტუმრების მოწვევაც. სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს პრიზებს (სტატუები) გადასცემდნენ: დიზაინერი აბრაამ ბაზელი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდკავშირების თავმჯდომარეები, კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი ცქიტიშვილი, ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე კაკო სიხარულიძე, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურა გაიპარაშვილი, მოდელი თამუნა გაბრიელაშვილი და ა.შ.

საბოლოოდ, დიდი ჟრიამულის, აპლოდისმენტებისა და სრული კაკაფონიის ფონზე, გამოვლინდნენ ქართველი სტუდენტობის რჩეულნი - **ბუკა მანაგაძე** (წლის აღმოჩენა), წლის აღმოჩენა გოგონათა ჯგუფი **"ემი"**, წლის აღმოჩენა ვაჟთა ჯგუფი – **"ინტრო"** (არსებულ ფონზე, ალბათ, არ იყო ცუდი გადაწყვეტილება), წლის რეტრო ანსამბლი – **"ფორტე"**, წლის პოპულარული რიმეიქი – **თამთა გოგუაძის** გადმოქართულებული დარენ ჰეისის ჰიტი, წლის დაბრუნება – **ლევან ლაზარიშვილი**, წლის იმედი – **სალომე გასვიანი**, წლის საერთაშორისო აღიარება – **მარიკა თხელიძე**, რომელიც სცენაზე რუსულენოვანი სიმღერით გამოვიდა, წლის სიმპათია მამაკაცი – **მამუკა ონაშვილი**, წლის სიმპათია ქალი – **თათია გიორგობიანი**, სიმპათია ჯგუფი – **"ქუჩის ბიჭები"**, წლის პოპულარული დუეტი – **აჩიკო მეფარიძე და ვერიკო ტურაშვილი** (სიმღერისთვის "მიდიან დღეები"), წლის პოპულარული კლიპი – **აჩი მეფარიძის** "უცხო ქალაქში" (გიორგი კიკალეიშვილის კლიპი), ყველა დროის საყვარელი ჯგუფი – **"ქუჩის ბიჭები"**, ყველაზე პოპულარული გოგონათა ჯგუფი – **"რონდო"**, პოპულარული ვაჟთა ჯგუფი – **"საუნდი"**, ყველაზე პოპულარული ქალი – **ქეთა თოფურია** (ქართულ ესტრადაზე მოდებულ სენს ვერც ამ ნორჩმა ვარსკვლავმა უღალატა და კოპირებას მიმართა – სცენაზე რუსული ჯგუფის "ა სტუდიოს" ერთ-ერთი, ჩვენს ტელეეთერში ხშირად დატრიალებული სიმღერა შეასრულა). წლის სიმღერა – **ლელა წურწუმიას** შესრულებული "ჩუმად ნათქვამი". საღამოს რამდენიმე სტუმარიც ჰყავდა - ნინო ქათამაძის, ქეთი მერკვილაძისა და პატარა სალომე წვერაძის სახით. ღონისძიება "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" დააფინანსა.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3 ოთახიანი სტანდარტული ბინა. მაღალი ჭერით, დიდი აივნით. მეტრო დელისთან. ბუნებრივი აირით, გოგირდიანი წყლით. ტელეფონით. ფასი: 25 000$
ტელ: 39-80-48

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება ორი 2-ოთახიანი ბინა სარდაფითა და საგარაჟე ადგილით მე-3, მე-4 სართულებზე რუსთავის შესასვლელში. 8(93) 32 69 86

სასწრაფოდ იყიდება 3-სართულიანი სახლი ეზოთი. ვაშლიჯვრის დასახლება, კვანტალიანის 18 ბ. ს/ფასი 50 000. 53 09 00

იყიდება 1,5-ოთახიანი, 15 კვ.მ. მიშენებით, ავეჯით ან უავეჯოდ. ყაზბეგის № 2 ა, 2(8). ფასი შეთანხმებით. 69 08 48

იყიდება 1,5-იანი ბინა გადაკეთებული ორიანად, 3(16), ტელეფონით, რკინის კარებით, ბაკით. 96 17 35, 33 03 43, 8(99) 16 11 03

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ორთაჭალაში, ბაგრატიონის ძეგლთან. 23 02 09

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა - სახელსნო კავსაძის 4-ში მე-2 სართულზე, რკინის კარით, გისოსებით. ფასი 12 800.
ტელ: 37-45-14 (21 სთ-შემდე)

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება ოროთახიანი ახალი გარემონტებული ბინა 6(6). ასათიანზე. ფასი 300 $. 37 74 54, 8(99) 96 50 66

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## კომერციული ფართი

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

**მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)**

**ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007**

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე. 27 000-ად. 77 19 40 ტარიელი, 92 24 64

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!). ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

**იყიდება!**
AUDI 90 Coupe GT. 1988 წ. ძრავი 2,3, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. ფასი 1650$. ტელ: 8 (99) 162868.

იყიდება ა/მანქანა გაზ - აა, ე.წ. "პოლუტარატონკა" 1940 წლის გამოშვება, ქარხნული ანტიკვარი. 37 74 54, 8(99) 96 50 66

## სწავლება

მოვამზადებ მაღალი კლასის მოსწავლეებს ან აბიტურიენტებს მათემატიკაში საფუძვლიანად, შეღავათიან ფასში. 38 18 64 იკითხეთ ნინო

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ და რუსულ ენებში ინდივიდუალურად. 39 50 31, 8(93) 30 93 20

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ყველა ასაკის მსურველს. 8(99) 25 58 20 თამუნა

მოვამზადებ ფრანგულ ენაში ყველა ასაკის მსურველს. 8(99) 25 58 20 ნინო

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

გამდიდრების უნარის განვითარება სულიერად ჩამოყალიბებულ ადამიანებში, უძველესი და ძლიერმოქმედი მეთოდების შესწავლა. 52 20 54

"სამოსელი პირველი" გაყიდვაშია. 38 47 53

იყიდება ყაზბეგური აბორიგენის ჯიშის ძაღლი. 37 30 15

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ნებისმიერ ტექსტს შეღავათიანად. 75 53 55

იყიდება ევროპიდან ჩამოტანილი ესპანური ჭაღები დიდი ფასდაკლებით. 52 20 54

იყიდება ლამინირების აპარატი, ცელოფნის რულონი, გირლოტინა, სტეპლერები, ყველა ზომის სკობები დიდი ფასდაკლებით. 52 20 54

მერქნის დახურვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

საშუამავლო ფირმა "კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინის მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

ვყიდი წაბლის ხის მასალისგან დამზადებულ "კლეტკიან"

გთავაზობთ წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

ფირმების რეგისტრაცია ერთ დღეში, ბეჭდები, შტამპები.
ტელ: 69-17-35, 8(99) 161103

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **მარჯანიშვილის თეატრი**
"ხელოვნება", რეჟ: თემურ ჩხეიძე, როლებში: მიხეილ გომიაშვილი, ზურა ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ, ფასი 5 ლარი
- **აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
მერაბ კოსტავას სახელობის დრამატული თეატრი
დავით კლდიაშვილი "მსხვერპლი", რეჟ.ანდრო ენუქიძე
დას: 16:00 სთ; ფასი 3 ლარი, სტუდენტებისათვის 1 ლარი
- **ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3

### საგამოფენო დარბაზები

- **ძველი გალერეა**
"განახლებული ურთიერთობები", მიშა შენგელიას, დავით ალექსიძსა და ლინ აპრენსის ნამუშევართა გამოფენა
- TMS
დიმიტრი ერისთავის ნამუშევრების პერონალური გამოფენა
- **„ქარვასლა„**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- N **გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)
- **გალერეა „ვერნისაჟი„**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა
- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ორიენტი„**
"დილმის ტყე", ანა გაბრიაძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

- **„ამირანი„**
"ბორნის საიდუმლო", მთავარ როლში მედ დეიმონი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ჟან რენო, მთავარ როლში ლუკ ბესონი
დას: 17:00; 21:00 სთ, ფასი 6,7 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 23:00 სთ, ფასი 5 ლარი
- **„რუსთაველი„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 7 ლარი
- **„ელისო„**
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჰოლივუდური დასასრული", რეჟ. ვუდი ალენი
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 6 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი







# ნინო გვარლიანი - რაც გულით მინდა, ყველაფერი მისრულდება

დალი კუპრავა

ფოტომოდელების დღევანდელ კონკურსში ნინო გვარლიანმა გაიმარჯვა.

ნინო გვარლიანი 130-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა, მაგრამ უკვე სოლიდური სასცენო გამოცდილება აქვს - სამი წლისას ფილარმონიის სცენაზე უმღერია ფონოგრამის გარეშე, შემდეგ ჯერ ბაზელის სტუდიაში დადიოდა, მერე კი - ლიკა ყაზბეგთან, სწავლობდა ქართულ ხალხურ ცეკვებს, თეტრალურ სტუდიაში სპექტაკლშიც ითამაშა და ახლა "იმიჯ ცენტრის" მოდელია.

"ეს ჩემი სურვილია, რომელიც სულიდან მოდის. აქ რომ მოვდივარ, თითქოს რაღაც მემატება, ძალიან მიყვარს "იმიჯ ცენტრში" მუშაობა," -თქვა ნინომ და მისი სახეც აღტაცებას გამოხატავდა.

ნინო მოდელია. საამისოდ, მას ყველა პარამეტრი ხელს უწყობს - სიმაღლე, წონა, სახასიათო გარეგნობა.

მისი ხასიათი ცალკე თემაა.

"კონკურსის წინ ჩავუთქვი, თუ გავიმარჯვებ, უნივერსიტეტშიც მოვეწყობი თქო,"- ამბობს ნინო და ისეთ სპეციალობას ასახელებს, რომ გაოცება ვერ დავმალე - მისი არჩევა აზრად როგორ მოუვიდა. ნინო მათემატიკის ფაკულტეტზე აბარებს, გამოყენებითი და სტრუქტურული ლინგვისტიკის სპეციალობაზე. იცის ინგლისური და მეორე ენის სწავლას უნივერსიტეტში აპირებს.

ნინო დედისერთაა, მაგრამ განებივრებული არაა და უშრომლად ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. ერთდროულად მოდელობაც და ენათმეცნიერებაც ხომ, თავისთავად, ძალიან შრომატევადი საქმეა. მაგრამ ნინოს, ეტყობა, სიძნელეები არ აფრთხობს. ძალიან მოსწონს ასეთი "თამაში" - რაღაცას ჩაიფიქრებს და შემდეგ ასრულებს. მართალია, თაყვანისმცემლებისთვის ჯერ დრო არ რჩება, მაგრამ ამის დროც მოვაო, - ფიქრობს.

სვანი და მოდელი?! - "ყველას უკვირს, როგორ ეგუება მამაშენიო, მაგრამ, როცა სხვებმა საცურაო კოსტიუმში ჩემი ფოტო შეიცხადეს, მამა არ აღელვებულა,"- ამბობს ის. ნინოს მამა კი ფიქრობს, რომ მთავარია, მისი ქალიშვილი კარგი ადამიანი გამოვიდეს - სახელოვანი.

ნინოს ჩვეულებრივი თინეიჯერული ჩაცმის სტილი აქვს - ზამთარში შარვლით სიარული ურჩევნია, ზაფხულში - სარაფნებით. ექსცენტრული სურნელის სუნამოები მოსწონს - კენზოს "ჯანგლი" და პაკო რაბანას "ულტრავაიოლეტი". სამკაულები ოქროსი ურჩევნია, თუმცა მათ ტარებას, ისევე როგორც ქუსლებზე სიარულს, თანდათანობით შეეჩვევა.

"ჩემი თავის მჯერა და ღმერთის მადლიერი ვარ, რომ ასეთად გამაჩინა,"-ამბობს ნინო გვარლიანი, რომელსაც წინ საინტერესო ცხოვრება ელოდება.

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს
მის ფოტო მოდელი 2002
მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.
1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტიუმი
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

## TV პროგრამა 17 ნოემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "სამნი"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.25 ჩვენი ეზო
21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ენიგმა" 8 77 45-79-25 კეიტ უინსლეტი, დიუგრეი სკოტი, "სამეფო ოჯახი-ტენენბაუმი" 8 77 45-79-26 ჯინ ჰეკმანი, ანჟელიკა ხიუსტონი, "ფენიქსი" 8 77 45-79-27 რეი ლიოტა, დენიელ ბოლდუინი
23.50 მხ.ფ. "საწვრთნელი დღე"
01.30 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ეშმაკისეულნი"
10.00 დილის პაემანი
11.05 "ამბები ჩვენზე"
11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 "ღამის ჯაზი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრა: თბილისის "ლოკომოტივი" - ბოლნისის "სიონი"
16.55 "სიმონ სხირტლაძე - 90"
17.40 "ექიმი ქალი"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ჩემპიონი"
18.55 "ეკოდაიჯესტი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამბობენ"
21.25 "შორეული ახლობელი"
22.05 სერიალი "ცისფერი ველოსიპედი"
23.00 სატ. კინოდარბაზი "ყველაწმინდა"
23.50 "ტაიმ-აუტი"
00.20 მხ.ფ."ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებანი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
10.00 "ტოროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "პრინცესას დღიური"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ესაუბრე მას".
01.40 ღამურა "9 მეფე".
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 "მრავალსახეობა"
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "დათვლილი დღეები"
00.25 ჰიტ-პარადი

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 - 19.00 რელიგიის საათი
19.00 დოკ. ფილმი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 ოაზისი
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "სისხლიანი ქორწილი"

### იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "ეს ბედია"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "არც მატარებლები, არც თვითმფრინავები"
13.00 გადაცემა - მურადა (გამეორებით)
19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს
20.00 მხ.ფ. "მეექვსე ელემენტი"
22.15 მხ.ფ. "უბროშოდ ბევერლი - ჰილზე"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გარა:ი"
13.30 მხ. ფილმი "პონეტი"
15.00 მხ. ფილმი "სიცილიური კლანი"
17.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი მეტრო"
19.00 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "იდეალური მკვლელი"
00.20 მხ. ფილმი "ღრუბლებს მიღმა"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხ.ფ. "მოიტაცეს თამარ ქალი"
10.35 სათავგადასავლო ფ. "რთული ბავშვი-1"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ჩემი საყვარელი მარსიანელი"
13.45 მხ. ფ. "ზღვის ლომების ჯგუფი"
15.35 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.20 მელოდრამა "მოჩქარეს მოუგვიანდეს"
19.20 მხ. ფ. "გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი"
20.35 ქართული მხ. ფ. "აკაკის აკვანი"
22.00, 00.00 "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
01.00 მხატვრული ფილმი "აფიორა"
03.30 მელოდრამა "საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა" 2 სერია

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"
MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"
- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.
ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.